

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ტატიშვილი ნინო

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის
ანალიზის ცდა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარინე ცერცვაძე
პროფესორი

გორი 2019

ანოტაცია

ნაშრომში „გრიგოლ რობაქიძის გერმნულენოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზის ცდა“ განხილულია ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის, პოლიტიკური ესეისტიკა, რომელიც დღემდე კომპლექსურად ნაკლებადაა შესწავლილი. მწერლის შემოქმედების ერთიანობის ანალიზი და კვლევა წარმოადგენს ღირსეულ გამოწვევას ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის.

კვლევის საგანს წარმოადგენდა მწერლის შემოქმედების ერთი კონკრეტული საკითხის -გერმანიაში შექმნილი პოლიტიკური ესეების და მათ შესახებ არსებულ წერილების და გამოხმაურებების განხილვა - ანალიზი.

„მე არ მგონია, რომ რომელიმე ქართველს ჩემი სახელი არ გაეგონოს“ - წერდა გრიგოლ რობაქიძე. დღეს, მართლაც დაუჯერებელია, რომ ვინმემ გრიგოლ რობაქიძის სახელი არ იცოდეს, თუმცა მწერლის სრულყოფილ მეცნიერულ შესწავლას ხელს უშლის ის, რომ ქართველი მკვლევარების ხელში არ არის სრულად მწერლის პირადი არქივი, რომელიც ჟენევის პოლიციამ მისი გარდაცვალების შემდეგ დალუქა. ჩვენი ნაშრომის მიზანია ახალი კუთხით მკითხველის დაინტერესება. მწერლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ესეებს და წერილებს. ნაშრომი არის მცდელობა მკითხველს ვუჩვენოთ, როგორ განიხილავდა გრიგოლ რობაქიძე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ ნაკლებად ცნობილ წერილებსა და ესეებზეც.

ლიტერატურა იმდენად ცოდნის საფუძველზე არ იქმნება, რამდენადაც სულიერი გამოცდილების საფუძველზე. ნაშრომში კვლევა ეფუძნება წერილებში და ესეებში ასახული იმ სულიერი გამოცდილების გაანალიზებას, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს დაუგროვდა წლების განმავლობაში, ემიგრაციაში ყოფნისას. ეს კი სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ნაშრომი მოითხოვდა ჩვენს მიერ განსახილველი თითოეული ესეს თუ წერილის საფუძვლიან ცოდნას.

Annotation

Grigol Robakidze's German language literary heritage analysis

In the work "Grigol Robakidze's German language literary heritage analysis", is discussed Georgian writer Grigol Robakidze's political essay-writing, which is studied complexly less till today. Analysis of the unity of the writer's creativity and research is a worthy challenge for researchers of Georgian literature.

The subject of the study was to discuss one particular issue of writers' creativity - Discussion – analysis of political essays and letters and feedback on them.

"I do not think that any of the Georgian has not heard my name" - Grigol Robakidze wrote. Today, it is really unbelievable that someone does not know Grigol Robakidze's name, however, to study the writer scientifically perfect, prevents the fact that, Georgian researchers do not have the Writer's full personal archive, which was sealed by the Geneva Police after his death. The aim of our work is to interest the reader with a new side. There is a great place for essays and letters in the writer's creativity. The work is an attempt to show the reader how Grigol Robakidze discussed famous political figures. In the work we focus on less known letters and essays.

Literature is not formed on the basis of knowledge, as far as on the basis of spiritual experiences. The research in the work is based on the analysis of the spiritual experiences reflected in letters and essays, which Grigol Robakidze has collected during emigration for years. This was related to difficulties, the paper required a thorough knowledge of the text of study material, on which was written each essay or letter to be discussed by us.

სარჩევი

შესავალი -----	5
თავი 1. გრიგოლ რობაქიძე და საქართველო -----	8
§ 1.1. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქართული პერიოდის მიმოხილვა -----	8
§ 1.2. წერილი - “ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი-ლენინი” -----	13
თავი 2. გრიგოლ რობაქიძე და გერმანია -----	16
§ 2.1. გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის გერმანული პერიოდის მიმოხილვა -----	16
§2.2. მომავალი ფიურერის სახე ესეში „ჰიტლერი“ -----	19
§2.3. „მზის კაცი“ - მუსოლინი -----	24
თავი 3. გრიგოლ რობაქიძე და ნობელის პრემია -----	28
§ 3.1. გრიგოლ რობაქიძე არშემდგარი ნობელიანტი -----	28
§3.2. გრიგოლ რობაქიძე და შტეფან ცვაიგი -----	30
§3.3. გრიგოლ რობაქიძე და რუდოლფ კარმანი -----	36
თავი 4. გრიგოლ რობაქიძე და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები -----	39
§4.1. „რეალური სტალინი“ -----	39
§4.2. ნოე ჟორდანია - „დიდი ქართველი“ -----	42
§4.3. მიხაკო წერეთელი - მოგონებათა ბარდული -----	45
დასკვნა -----	48
გამოყენებული ლიტერატურა -----	51

შესავალი

პრობლემის აქტუალობა - XX საუკუნეში მიმდინარე მოვლენების ამსახველი კვლევა ძალზე აქტუალურია, რადგან მასში აღწერილია როგორც ინდივიდის, ისე ერის თავისუფლების თემა. XX საუკუნე საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდია. გრიგოლ რობაქიძე, მის მიერ შექმნილ წერილებში, საუბრობს საბჭოთა პერიოდის იმ მძიმე შედეგებზე, რომლებიც წილად ხვდა მთლიანად საქართველოს თუ ცალკეულ პიროვნებებს. ყველა მათგანში საქართველოს მომავალზე ზრუნვაა გაცხადებული, თუნდაც ჰიტლერზე ან მუსოლინიზე წერისას, მწერალი აღნიშნავს იმ ფაქტორს - რა სურდათ მათ საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ, რაც არ მოისურვა სტალინმა, თუმცა ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა. დღეს უკვე ნათელია, რომ ჰიტლერმაც და მუსოლინიმაც ცუდი შედეგით დაამთავრეს საკუთარი კარიერა, მაგრამ პარადოქსია, რომ გამარჯვებულ სტალინსაც არაფერი სიკეთე საკუთარი ქვეყნისთვის არ მოუტანია, აკი წერდა კიდევ გრიგოლ რობაქიძე, რომ სტალინი იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისაო.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ პრობლემები, რაც გრიგოლ რობაქიძეს აღელვებდა, დღესაც სიმწვავეთ დგას ქართველი ერის წინაშე, მას დღესაც ვერ მოუპოვებია სათანადო ადგილი ევროპულ თანამეგობრობაში, რისკენაც ასე ისწრაფოდა მწერალი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30 - 40 - იანი წლებიდან.

სამაგისტრო ნაშრომის საგანი, მიზანი და ამოცანები - კვლევის საგანს წარმოადგენს მწერლის შემოქმედების ერთი კონკრეტული საკითხი - გერმანიაში მოღვაწეობის პერიოდში შექმნილი პოლიტიკური ესეების და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ არსებულ წერილების და გამოხმაურებების განხილვა-ანალიზი, რაც დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ არის.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ახალი კუთხით მკითხველის დაინტერესება. მწერლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ესეებს და წერილებს. ნაშრომი არის მცდელობა მკითხველს ვუჩვენოთ, როგორ განიხილავდა გრიგოლ რობაქიძე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ ნაკლებად ცნობილ წერილებსა და ესეებზეც.

ბუნებრივია, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია აღნიშნულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემა, თუმცა, შევეცადეთ, საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, საკითხის საფუძვლიანად შესწავლა და გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობის წარმოჩენა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე - გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას დღეს ბევრი მკვლევარი ჰყავს, ამ ფონზეც კი ჩვენი შრომა არის სიახლე იმ კრიტერიუმით, რომ ჩარჩოში მოვაქციეთ მწერლის ესეები და წერილები, რომლებიც შეიქმნა გერმანიაში, მაგრამ ყველა მათგანს საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ზრუნვა აერთიანებს, თუნდაც ესეები „მუსოლინი“, „ჰიტლერი“, იწერება იმ დროს, როდესაც ამ ორ პოლიტიკურ მოღვაწეს ნაკლებად აქვს ხელი დასვრილი ხალხის სისხლში და მხოლოდ თავისი, იმ დროისათვის დაჩაგრული ერისთვის, იტალიისა და გერმანიის სასიკეთოდ ირჯებიან, რაც თავისებურ დაპირისპირებად აღიქმება სტალინთან და ლენინთან, რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და არც სტალინს - ქართველი ხალხისთვის და არც ლენინს - რუსი ხალხისთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია.

ნაშრომი არის ცდა გააერთიანოს გრიგოლ რობაქიძის მიერ გერმანიაში ყოფნის პერიოდის პუბლიცისტიკის და ესეისტიკის გარკვეული ნაწილი, დააჯგუფოს თემატურად და მოძებნოს ის საერთო კრიტერიუმი, რაც მწერლის შემოქმედების ამ ნაწილს აერთიანებს. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების კვლევას ართულებს ის საკითხი, რომ, საუბედუროდ, მწერლის გარდაცვალების შემდეგ ჟენევის პოლიციამ დალუქა მისი ბინა და მთელი არქივი გადაეცა ჟენევის მთავრობას. მიუხედავად ქართველი ემიგრანტების დიდი მცდელობისა, ჟენევის მთავრობამ უარი განაცხადა მის დაბრუნებაზე. საბჭოთა პერიოდში, წლების განმავლობაში, მწერლის სახელსაც ტაბუ ედო და არც არაფერი ქვეყნდებოდა 70 - იან წლებამდე; დღემდე გრძელდება მკვლევართა მიერ მოძიება იმ ახალი დოკუმენტებისა, რომლებიც ნათლად აჩვენებენ მწერლის შემოქმედების კიდევ ერთ, უცნობ, მხარეს. ჩვენ გამოვიყენეთ უახლესი ცნობები გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შესახებ, ასევე ბოლო წლებში არსებული უახლესი დოკუმენტები და ვეცადეთ XXI საუკუნის გადასახედიდან გაგვეაზრებინა გრიგოლ რობაქიძის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

კვლევის წყაროები - კვლევის წყაროებად გამოვიყენეთ გრიგოლ რობაქიძის პროზა, პირადი წერილები და პოლიტიკური ესეები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ თემის ძირითადი ტენდენციების შესასწავლად. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული გვაქვს: ემიგრაციის მუზეუმის მასალები, გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების ქრონიკა „მზისშვილი“- ავტორი როსტომ ჩხეიძე, გურამ შარაძის „უცხოეთის ცის ქვეშ“, აკაკი ბაქრაძის ავტობიოგრაფიული რომანი- „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“, ასევე მისი ცალკეული ესეები და წერილები.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება - ნაშრომი საინტერესო იქნება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მკვლევართათვის, სტუდენტებისთვის, ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

თავი I. გრიგოლ რობაქიძე და საქართველო

§ 1.1. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქართული პერიოდის მიმოხილვა

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ცხოვრებისეული სირთულის გამო ორ პერიოდად იყოფა: ქართულ და გერმანულ პერიოდებად. ორივე პერიოდი მნიშვნელოვანი და შემოქმედებითად დატვირთულია, თუმცა მასალის მამტაბურობის გამო ყურადღებას ვამახვილებთ გერმანულ პერიოდზე

„ჩემ შემოქმედებას საუკუნეები კი არა, ათასწლეულებიც ვერ დაძლევენ“-ო ასეთი შეფასება მისცა მწერალმა თავის შემოქმედებას; მართლაც, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება დღესაც არ არის შესწავლილი ბოლომდე, რასაც ხელი შეუშალა მწერლის პიროვნების სრულმა იგნორირებამ ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან. კაცი, რომელიც ნიკოს კაზანძაკისისგან შეფასებული იყო, როგორც ვიზიონერი, რომლის თანამედროვენი ჯერ არ დაბადებულან, საკუთარ ქვეყანაში ბნელით იყო მოცული და ელოდებოდა დღის სინათლეს.

დიდი ხნის განმავლობაში მწერლის დაბადების თარიღად 1884 წლის 1 ნოემბერი იყო მიჩნეული, თუმცა მწერლის - ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმისადმი მიწერილი პირადი ბარათით ირკვევა, რომ დაბადებულა 1880 წლის 28 ოქტომბერს, სოფელ სვირში, დედულეთში. მწერლის მამა - ტიტე რობაქიძე სოფელ ჩხარში მღვდელი ყოფილა, დედა - ქეთევან ბოჭორიშვილი შემღებული გლეხის შვილი.

1890-1895 წლებში სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, საიდანაც სწავლა სასულიერო სემინარიაში განაგრძო. ოჯახი თავიდანვე მდღლობისთვის ამზადებდა, თუმცა სწავლის დამთავრების შემდეგ მამას მტკიცე უარი უთხრა.

1901 წელს, ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, ტარტუს უნივერსიტეტში იწყებს სწავლას, იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც უსახსრობის გამო იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

1902-1906 წლებში გრიგოლ რობაქიძე, შემწეების დახმარებით (აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ზდანევიჩი, კიტა აბაშიძე), ამთავრებს გერმანიაში, ლაიფციგის

უნივერსიტეტს, ფილოსოფიის ფაკულტეტს. გრიგოლი ორი წელი დარჩა საზღვარგარეთ და სხვადასხვა უნივერსიტეტში იღრმავებდა ცოდნას, მისთვის საინტერესო სფეროში.

1908 წელს დიდი ცოდნით საქართველოში ბრუნდება, და ეს დაბრუნება, როგორც თავადვე აღნიშნავს, 1907 წლის წინამურის ტრაგედიამ განაპირობა.

გრ. რობაქიძე ევროპიდან დაბრუნებისთანავე ჩაერთო აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამწერლო საქმიანობაში. ზრუნავდა ქართული მწერლობის მოდერნიზაციაზე. საქართველოში მოდერნიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი და მქადაგებელი იყო. იგი სიმბოლიზმის მამამთავრად ადიარებული, 1913 წელს „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ხდება, თუმცა თავს უფრო მოდერნისტად თვლის, რადგან სიმბოლიზმი მისთვის უფრო ვიწრო ცნებაა.

გრიგოლ რობაქიძე, გერმანიაში წასვლამდე, საქართველოშიც აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. იყო პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და ა.შ.. ამ პერიოდის შემოქმედებით მრავალფეროვნებას კარგად ასახავს პავლე ინგოროყვას შეფასება. საუბრობს რა მის პოეზიაზე, პავლე ინგოროყვას მიაჩნია, რომ გრიგოლ რობაქიძეზე საუბარი დიდ პასუხისმგებლობას შეიცავს, რადგან „რობაქიძე -პოეტი, გვერდს უმშვენებს რობაქიძე -პროზაიკოსს, რობაქიძე-დრამატურგს, რობაქიძე-კრიტიკოსს“.¹ აღსანიშნავია დრამატურგიაში მოპოვებული მიღწევებიც. გამოქვეყნებული ჰქონდა პიესები: „ლონდა“, „ლამარა“, „მალშტრემი“, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს იმ პერიოდის ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. პიესებში მწერალი იყენებს მითოლოგიურ მოტივებს: „აღნიშნულ ნაწარმოებებში ძირითადად ხდება არა მითის ქმნაობა, არამედ მისი ტრანსფორმაცია“.² პიესა - „ლონდა“, რომელიც 1917-1919 წლებში დაწერა, გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას ჟურნალ „კავკასიონის“ გვერდებზე.

ქართლის ცხოვრება, ქართული მითოსი, ქართული ენა - არსებითია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში, სწორედ ამით განისაზღვრება მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მწერალი პირველი შეეხო ქართულ ფესვებს, მის სიღრმეებს ჩასწვდა და ქართული ენა „უგენიალეს“ ქმნილებად გამოაცხადა, შეეცადა ეჩვენებინა, რომ ქართული ენა არა თუ რამით ჩამოუვარდება რომელიმე სხვა ენას, არამედ მათზე მაღლა

¹ რობაქიძე გრ. 13 სონეტი, გვ-17.

² მესხრიკაძე ნ. ღვაწლი ივანე მაჩაბლისა, გვ-61.

დგას. გრიგოლ რობაქიძე თამამად ამბობდა - „საუკუნეთა მანძილზე ერთადერთი ავტორი მე ვარ, რომელიც აცნაურებს ქართველთა „მსოფლხატს“. ბოლომდე გაგება საქართველოსი გარეშე ამ „ხატისა“ ჩემთვის წარმოუდგენელია. ჩემი შემოქმედების სათავენი ამ „მსოფლხატის“ ფარგლებში არის მოქცეულნი“.³

გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებებში მხოლოდ სანახევროდ მჟღავნდება სათქმელი. მისი შემოქმედების გასაგებად აუცილებელია ჩაწვდეთ მითოსის არსს, შევძლოთ სიმბოლურ - ალეგორიულ სახეთა შეცნობა. მისი ნაწარმოებების გაგება ადვილი არ არის - ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, ჩემ შემოქმედებას ვერ გაიგებსო - წერდა მწერალი.

ჩუმი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მელანქოლიური - ასეთი ვიყავი ბავშვობაში, მოგვითხრობს მწერალი - „შეუცნობელ არსში ჩაძირულს მეჩვენებოდა, თითქოს რაღაცას ვიხსენებდი... სავსე ვიყავი ნისლით მოცული ხილვებით. გვიან, მოწიფულ ასაკში ისინი, როგორც ხელშესაღები სურათები, გამომეცხადნენ.

ხუთი წლის, მუხის ძირას, ჩახუთულ შუადღეს, ბიძაჩემის გვერდით მეძინა. გაღვიძებულმა უცხო ლაცივი ვიგრძენი, რაღაც დაცოცავდა მკერდზე. პერანგი გავიხსენი და ორი პატარა ხვლიკი დავინახე. ძალიან ლამაზები იყვნენ. დედასთან გავიქეცი ხვლიკებით ხელში. გადაირია კინალამ დედაჩემი. მას შემდეგ ჩემს ცნობიერებაში ხვლიკი, მუხა და მზე მითიურად მესახება“.⁴

საქართველოში ყოფნის პერიოდში დაიწერა რომანები: „ამორძალთა დედოფალი“, „ფალესტრა“, 1917 წელს მწერალი ირანშია, სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი „გველის პერანგს“, რომელიც საქართველოში 1926 წელს გამოიცა, მაგრამ საზოგადოების დიდი ინტერესი არ დაუმსახურებია, თუმცა, მოგვიანებით, გერმანული საზოგადოება ამ რომანს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ქართველმა საზოგადოებამ ვერ გაიგო ის რომანი, რომლის შესახებაც გერმანული თარგმანის წინასიტყვაობაში სტეფან ცვაიგი წერდა: „ახლა ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი, ვფიქრობ, პირველად გრიგოლ რობაქიძის - ქართველების ამ რომანით“.⁵

³ რობაქიძე გრიგოლ, კრებული, ტ.15, გვ-17.

⁴ ბაქრაძე აკაკი, კარდუ, გვ-17.

⁵ რობაქიძე გრიგოლ, წერილები სტეფან ცვაიგს, გვ-9.

1989 წელს, გურამ ფანჯიკიძის, გურამ გვერდწითელის და ავთანდილ ჩხიკვიშვილის რედაქტორობით, გამოდის ორი რომანი: „გველის პერანგი“ და „ფალესტრა“, რომლებიც „მწერლის აწეწილი ბიოგრაფიის გამო“,⁶ 1926 წლის შემდეგ არ გამოცემულა და მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი გრიგოლ რობაქიძისათვის მიეჩინათ კუთვნილი ადგილი ქართულ მწერლობაში. სოსო სიგუას მიაჩნია, რომ რომანში „გველის პერანგი“ „მხოლოდ გრ. რობაქიძემ მიაქცია ყურადღება ეროვნული სულის სიჯანსაღეს, უარყო გლოვა და მომავალს მიაპყრო მზერა“⁷

1917 წელს მისი აქტიურობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი. მწერალმა დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1919 წელს მონაწილეობას იღებდა პარიზის სამშვიდობო დელეგაციის წევრად. ამავე წელს მისი მონაწილეობით დაფუძნდა ქართული ლეგაცია სტამბულში.

დიდი ოვაციით ისმენდნენ გრიგოლ რობაქიძის საჯარო გამოსვლებს თბილისსა და ქუთაისში. მომხსენებლის ასეთი ლამაზი ქართული ხიბლავდა მსმენელს, რადგან მსგავსი ქართული კარგა ხანია აღარ მოესმინათ. თუ ილია ჭავჭავაძემ ვაჟას გაცნობის შემდეგ თქვა, რომ ახლა ჩვენ - ძველებმა- კალამი გვერდზე უნდა დავდოთ და გზა ახალგაზრდებს დავუთმოთო, აკაკი წერეთელმა, გრიგოლ რობაქიძის მიერ წაკითხული ფრიდრიხ ნიცშეზე მოხსენების მოსმენის შემდეგ, თავისი შეფასება გაზეთ „თემში“ გამოაქვეყნა: „აწ, განმიტვე, მეუფეო, მე მონა შენი“⁸- სვიმონ მიმრქმელის ამ სიტყვებით აკაკიმ გზა დაულოცა ახალგაზრდა მწერალს.

საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში გვერდს ვერ ავუვლით 1919 წელს რუსულად დაბეჭდილ ესსეების კრებულს, მასში განხილულია ოთხი პიროვნება: ჩაადაევი, ლერმონტოვი, ვასილ როზანოვი და ანდრეი ბელი და მიძღვნილია გარდაქმნის გზაზე დამდგარი რუსეთისათვის, „ქვეყნისათვის, სადაც უნაპირო სტეპებში აპოკალიპსური ცხენების ფლოქვთა თქარათქური ისმის“⁹. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს ამ ესსეების ქართული თარგმანი, გამოცემული

⁶ რობაქიძე გრ. გველის პერანგი, გვ-1.

⁷ სიგუა ს. მოდერნიზმი, გვ-238.

⁸ ნიშნისანიძე რ. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ-92.

⁹ რობაქიძე გრ. პორტრეტები, გვ-2.

„არტანუჯის“ მიერ, 2012 წელს, მათ ვერ განვიხილავთ, რადგან ნაშრომში ვიხილავთ გერმანულ პერიოდში დაწერილ ესეებს და წერილებს.

მწერალს, საკუთარ ქვეყანაში, დამფასებლებთან ერთად, გამკიცხავნიც ბევრი ყავდა. მას ანტიპატრიოტად თვლიდნენ და ქართველ მწერლად არ მიიჩნევდნენ, თუმცა თავად ავტორს ეს ფაქტი ყოველგვარ აზრს მოკლებულად მიაჩნდა და თავის თავს უკვე დიდ მწერლად თვლიდა: „შეიძლება საქართველომ არ მიიღოს რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უთუოდ აღნიშნავს, რომ იგი უღელტეხილი იყო. ეს ფაქტია“¹⁰ - წერდა საკუთარ თავზე და როგორც ჰიტლერის შესახებ მსჯელობდა, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც ისტორიას კი არ წერს, არამედ ქმნისო, იგივე შეგვიძლია ვთქვათ თავად ამ ესეს ავტორზეც - ის იყო ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ წერდა, არამედ ქმნიდა ლიტერატურას და „რანაირიც არ უნდა იყოს გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და საქმიანობა ემიგრაციაში, მისი შემოქმედების შეუფასებლობა 20-იანი წლების ქართული მწერლობისათვის არ იქნებოდა სწორი“¹¹

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძე ჯერ კიდევ ევროპაში ემიგრაციაში წასვლამდე ცდილობდა საქართველოში ევროპული სული შემოეტანა. მის ლექციას - „ახალი ევროპა“ დიდი ოვაციები მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. მოგვიანებით, 1928 წელს, კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხა მოხსენება „რვა თვე გერმანიაში“, სადაც დროებით იმყოფებოდა ლიტერატურული საქმეების მოსაგვარებლად.

გრიგოლ რობაქიძე, საქართველოში პირველი გამოჩნდა, როგორც ტიცინ ტაბიძე იტყოდა, „მოდერნიზმის სახარების“ მქადაგებლად. „მისი ლექციები იყო ერთგვარი წყარო „ევროპული სულის“ შესაცნობად.“¹²

¹⁰ გაზეთი „ახალი ეპოქა“, ჩანართი „ჩვენი მწერლობა“, მ. ჯალიაშვილი-საუკუნეებს ველაპარაკები, გვ-4.

¹¹ რობაქიძე გრ. გველის პერანგი, გვ-4.

¹² ჯალიაშვილი მ. ქართული მოდერნისტული რომანი, გვ-5.

§1.2. წერილი „ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი-ლენინი“

განსხვავებით სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტებისა, გრიგოლ რობაქიძეს წერილი „ვ. ილიას ძე ულიანოვი-ლენინი“ დაწერილი აქვს საქართველოში ყოფნის პერიოდში. მწერალს, როგორც ყველა დიდ მოაზროვნეს, დიქტატორული მმართველობის არსზე ჩამოაყალიბებული ჰქონდა საკუთარი ხედვა. გრიგოლ რობაქიძე ლენინის ფსიქოლოგიურ პორტრეტს განიხილავს მისი პიროვნული თვისებების წინა პლანზე წამოწევით. ავტორს მის მსოფლმხედველობაზე მეტად აინტერესებს მისი დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომელთაც კვალი დააჩნის მსოფლიო ისტორიას. გრიგოლ რობაქიძემ წერილი- „ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი - ლენინი“ 1924 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „კავკასიონი“.

მწერალი ლენინში ხედავს პიროვნების სიმართლეს და პარალელს ავლებს პეტრე დიდთან, თუმცა მას პეტრე დიდზე მაღლა აყენებს. ფიქრობს, რომ ლენინი უდრეკი ნებისყოფისაა, ის არის გაბედული და ასეთი „გაბედვა“ სამყაროს მიმართ ჯერ არავის ჰქონია.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, მარქსიც მოქმედებდა და ლენინიც, თუმცა მარქსი უფრო დიდია, ვიდრე მისი მოქმედება, რასაც ვერ ვიტყვით ლენინზე, თითქოს მისი ნაწერი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე მისი შემოქმედება, რადგან ლენინის „მწერლობა“ იგივე მოქმედებაა. ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებში ისტორიამ არ იცისო - ასეთი მაღალი შეფასება მისცა მწერალმა ულიანოვი - ლენინს, რომელიც ევროპის ჰამლეტის სრულ ანტიპოდად განიხილა.

მწერალი თვლიდა, რომ ლენინი იყო ფენომენი, რომელზეც ტომები დაიწერება, რომ მას ჰქონდა „იდეალი ინტერნაციონალური იდეალი, ხოლო ბუნება ნაციონალური. სწორედ ამ თვისებებით ამსგავსებდა პეტრე დიდს, თუმცა „გადალახვით“ ლენინი უფრო ბევრად დიდად მიაჩნდა.

გრიგოლ რობაქიძის ლენინი „სასტიკია და ნებიანი, რომლის ნება უთუოდ არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის.“¹³

ამ წერილში გრიგოლ რობაქიძე, პეტრე დიდის შემდეგ, ლენინს ნაპოლეონზე მაღლაც აყენებს, რადგან მიაჩნია, რომ ნაპოლეონის ნება იყო ქოლერული, ჭკუა კი მელანქოლური. ლენინის ქოლერულ ნებას კი კიდევ უფრო ახელებს მისი ქოლერული ჭკუა. სწორედ ამიტომ მიაჩნდა მას ლენინი „მარტო ცეცხლ ად და მარტო წვად“.¹⁴ მისი აზრით, ლენინი ყველაზე დიდი რევოლუციონერია; ამ მხრივ მან არ იცის ტოლი. მაშინ როდესაც, ევროპაში რევოლუცია მატერიალურ სიკეთეთა „გადაღებაა“, რუსეთში სამყაროს პრობლემად აღიქვამენ. ლენინი მოეწონა რუსეთს, როგორც რევოლუციის ბედისწერა, ის გახდა კოსმიური ბიძგის მიმცემი ოქტომბრის ნგრევისაო - წერს გრიგოლ რობაქიძე და უღმობლობას და სისასტიკესაც პატიობს ერთი მარტივი მიზეზით, სასტიკია ყოველი შემოქმედიო. ოღონდ ეს სისასტიკე და უღმობლობა მისთვის სტალინის შემთხვევაში მიუტევებელია. ერთის ღირსება, მეორესთვის ცოდვა ყოფილა. ამრიგად, ვ. ი. ლენინი გრიგოლ რობაქიძეს გამოყვანილი ყავს ადამიანად, რომლის პიროვნების შესახებაც ბევრის თქმა იყო შესაძლებელი. ცდილობს რა, სულ რამდენიმე სიტყვით განმარტოს ბელადის როლი მსოფლიო ისტორიაში, წერს: „...ვისაც განუცდია წამება, მას არ შეუძლია არ მიიღოს რევოლუცია; ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება - მონობის მოსპობა - ადამიანის ღირსების აღდგენა - ქვეყნის გადახალისება - ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა“.¹⁵

გრიგოლ რობაქიძის დაინტერესება ლენინის ფენომენით ბევრმა ვერ გაიგო. ვერ გაიგო მან, ვინც ვერ ჩასწვდა სიღრმისეულად რობაქიძის შემოქმედებას. მწერლის უპირველესი მიზანი ბელადთა (ლენინი, ჰიტლერი, მუსოლინი) პორტრეტების ჩვენებით ერების აღდგენის მცდელობის ჩვენება იყო. სწორედ ამის დამადასტურებელია ლენინის პიროვნებისადმი განსაკუთრებული ქება - დიდება მაშინ, როდესაც მის იდეოლოგიას თავის შემოქმედებაში გადაჭრით უარყოფს. გრიგოლ რობაქიძე მომხრეა რევოლუციის, რამეთუ რევოლუცია თავისუფლებასთან, ჩაგვრისგან

13 რობაქიძე გრ. ტ. III, გვ-581.

14 იგივე, გვ-581.

15 იგივე, გვ-582.

განთავისუფლებასთან ასოცირდება. გრიგოლ რობაქიძისათვის უპირველესი იყო ერთა თვითდამყარება - ეროვნული ფესვები და მიაჩნდა, რომ ლენინი სწორედ ერთა თვითდამკვიდრების სიმბოლო შეიძლებოდა ყოფილიყო.

თავი II. გრიგოლ რობაქიძე და გერმანია

§ 2.1. გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის გერმანული პერიოდის მიმოხილვა

1931 წლის დამდეგიდან იწყება და 1962 წლით მთავრდება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მეორე პერიოდი. ეს არის უცხოეთში, ემიგრაციაში გატარებული წლები. გერმანიაში მოღვაწეობის პერიოდი გრიგოლ რობაქიძისათვის მეტად ნაყოფიერი არმოჩნდა. ის ბევრს წერს: რომანებს, ესეებს, კრიტიკულ თუ პირად წერილებს, თანამშრომლობს ქართული ემიგრაციის ჟურნალებთან „კავკასიონი“, „ბედი ქართლისა“, აგზავნის წერილებს საქართველოში, აფასებს ქართველი მწერლების შემოქმედებას, განიცდის ყველაფერ იმას, რაც საქართველოში ხდება ბოლშევიკური დიქტატურის პირობებში.

ის ფაქტი, რომ, ბროკჰაუზის სახელგანთქმულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ქართველ მწერალთაგან მხოლოდ რუსთაველი და გრიგოლ რობაქიძე იხსენიებიან, თავისთავად ბევრს მეტყველებს. მას შემდეგ, რაც საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი დამყარდა, გრიგოლ რობაქიძე აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობაში, რის გამოც მუდმივად განიცდიდა ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან დევნას. 1930-1931 წლიდან კარს მომდგარი იყო მასობრივი რეპრესიები, მწერალი ხვდებოდა, რომ არავინ შეარჩენდა საბჭოთა მეთაურების კრიტიკას, „იდუურად მავნე და საშიში“ წერილების გამოქვეყნებას და გერმანიაში წასვლით უშველა თავს.

უცხოეთში ყოფნის სიმძიმეს კარგად გადმოსცემს მისი ერთ-ერთი პირადი ბარათი.

1. 10. 1944.

„ მარტო ვარ. სევდა. კვლავ სევდა. ჩემი განკურნება შესაძლებელია მხოლოდ თანამემამულეთა არეში.“¹⁶

ძნელად თუ მოიძებნება სადმე მწერალი, რომლის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ საზოგადოების განწყობა რადიკალურად ისე განსხვავებული ყოფილიყო, როგორც ეს გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში მოხდა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას გერმანიაში უფრო დიდი გამოხმაურება ხვდა წილად. ცნობილი

¹⁶ შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, გვ- 203.

გერმანული ჟურნალი „ეხო დერ ცაიტ“, სათაურით: „გრიგოლ რობაქიძე - ერთი ნამდვილი პოეტი“, წერს: „წესი არაა გენიოსად გამოცხადებულ იქმნას მწერალი, რომლის შემოქმედება მხოლოდ ორი ნაწარმოებით არის ცნობილი გერმანელი მკითხველისათვის. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს გამონაკლისი დასაშვებია.“¹⁷

სამშობლოდან გადახვეწის მიზეზი, მისივე თქმით, ბოლშევიკური დიქტატურა იყო: „ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? - არავინ... საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერც კი დაუძინია. ეშინია, სიზმარში ბოდვით არ წამომცდეს გულნადები აზრი რამეო“.¹⁸

რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლებისას, 1930 წელს, სტალინს მოეწონა გრიგოლ რობაქიძის დრამა „ლამარა“. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად მიიჩნია რუსთაველის თეატრის ევროპასა და ამერიკაში გაგზავნა. გრიგოლ რობაქიძემ ისარგებლა სიტუაციით და, როგორც „ლამარას“ ავტორმა, სერგო ორჯონიკიძის დახმარებით, მიიღო პასპორტი გერმანიაში გასამგზავრებლად. 1931 წლის 6 მარტს გრიგოლ რობაქიძეს, მის მეუღლეს - ელენე ფიალკინას და მათ აღსაზრდელს, 5 წლის ელენე პოგოროლოვას საზღვარი გადაულახავთ და 7 მარტს უკვე ბერლინში იმყოფებოდნენ. მეუღლის მკურნალობის საბაბით, გერმანიაში მწერალმა გათვალისწინებულზე მეტი დრო დაჰყო, თუმცა საქართველოდან ჯერ არ ეხმიანებოდნენ მის დაგვიანებას. მოგვიანებით, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ რობაქიძე ევროპაში ემიგრანტად წავიდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მწერლის წინააღმდეგ სასტიკი და უზნეო კამპანია წამოიწყო. „მნათობში“ და „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მწერალთა მიმართვა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისადმი: „არავითარი დანდობა კლასობრივ მტრებს“, რომელიც რობაქიძის წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი მოინათლა „რასისტად“, „ფაშისტად“, „კაპიტალიზმის აპოლოგეტად“. 1935 წლიდან საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოერთვა. 1935 წლის 19 აპრილს შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც განიხილეს გრიგოლ რობაქიძის საკითხი. ხანმოკლე კამათის შემდეგ კი დაადგინეს: „სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა ფაშისტ გრიგოლ რობაქიძის გამცემლური მუშაობის შესახებ, მწერალთა

¹⁷ შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, გვ-179.

¹⁸ კარლო ინასარიძის კრებული, მიმართვა ახალგაზრდობისადმი, გვ-6.

ერთი ჯგუფის - პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ნ. მიწიშვილის - განცხადებამ, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მთელი კოლექტივი, დაადგინა: ეთხოვოს ს. სსრ ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის, გადასული კონტრრევოლუციონურ, ფაშისტთა ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგის განხორციელებით“.¹⁹

გრიგოლ რობაქიძე ცრემლებით კითხულობდა მისთვის ყველაზე ახლობელთა განაჩენს, ძნელი იყო მისთვის ეს რეალობა, თუმცა კარგად ხედავდა ამ განაჩენის ნამდვილ ავტორს.

გრიგოლ რობაქიძეს აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა არც ემიგრაციაში ყოფნის დროს შეუწყვეტავს. 1931 წელსვე გერმანულ ენაზე გამოდის მისი რომანი „ჩაკლული სული“, სადაც ავტორი ააშკარავებს ევროპელი საზოგადოებისთვის ბოლშევიზმის არსს და ამ ყოფაში საქართველოს შვილთა ცხოვრებას. შვიდი წიგნიდან მას 5 გერმანულ ენაზე აქვს დაწერილი.

მწერალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ემიგრანტთა შორის. რომან „გრაალის მცველნი“-ს მოქმედი პირების შესახებ, კალისტრატე სალია წერილში, „გრიგოლ რობაქიძე“, განმარტავს: „უნდა აღვნიშნოთ, რომ ‘გრაალის მცველნი“-ს მოქმედნი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა...მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულებთ მის სურვილს: ოდილიანი-პაოლო იაშვილი; ავალა-ტიციან ტაბიძე; მამია ოდიშელი-შალვა დადიანი; მზისავარ-აპოლონ წულაძე“²⁰ და ა.შ. როგორც მისი თანამედროვეები აღნიშნავენ, გრიგოლს ყურადღების მიღმა არ რჩებოდა არც ერთი უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი ქართული მოვლენაო. გრ. რობაქიძემ თავისი ემიგრაციით იმაზე მეტი სარგებელი მოუტანა ჩვენ ქვეყანას, ვიდრე აქ მყოფმა ბევრმა საზოგადო მოღვაწემ. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წლიდან, შვეიცარიაში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მწერალი 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა ქალაქ ჟენევაში

¹⁹ ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტ. II, გვ-113.

²⁰ წერეთელი ლია, გრაალის პარადიგმა გრიგოლ რობაქიძის რომანში „გრაალის მცველნი“, გვ-137.

და იქვე დაიკრძალა. 1976 წელს ქართველი ემიგრანტების - ნინო და კალისტრატე სალიების თაოსნობით საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე გადასვენეს.

მეოცე საუკუნის პირველი მესამედი ქართული პრესის აღორძინების ხანად ითვლება. ამ ეპოქის წარმომადგენელია გრიგოლ რობაქიძე, რომლის ესეებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ევროპეიზმის დომინანტი ქართულ მწერლობაში. იგი ავტორია არა მარტო ლიტერატურული, არამედ პოლიტიკური ესეებისა. მისი ესეების თემას დიდი ადამიანების პრობლემა წარმოადგენს, სწორედ ამ მიმართულებით არის წარმართული ჩვენი კვლევაც.

გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში ისტორიის რთულ მონაკვეთში აღმოჩნდა და, ბუნებრივია, მისი შემოქმედების არეალში მოექცნენ 1930-1940-იანი წლების ისტორიის უძლიერესი მმართველები: მუსოლინი, ჰიტლერი, სტალინი. ამითაა განპირობებული ის დიდი დაინტერესება, რაც ამ პიროვნებების შესახებ გამოქვეყნებულ ესეებს მოჰყვა, თუმცა შეფასებები არაერთგვაროვანია და ერთმანეთისგან მათი ავტორისადმი რადიკალურად განსხვავებული მიდგომით გამოირჩევიან.

§2.2. მომავალი ფიურერის სახე ესეში „ადოლფ ჰიტლერი“

ესე „ჰიტლერი“ გრიგოლ რობაქიძემ 1938 წელს, გერმანიაში ყოფნის დროს დაწერა. ესე ქართულად ითარგმნა 2010 წელს, დალი ფანჯიკიძის მიერ. გამოცემას თან ახლავს მთარგმნელის შენიშვნები, სადაც დალი ფანჯიკიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად კარგად და სრულყოფილად ფლობდა გრიგოლ რობაქიძე გერმანულ ენას. ასევე ყურადღებას ამახვილებს წერის მანერაზე, რომელსაც ავტორი იყენებს. წერის ამ სტილში, ფიქრობს დალი ფანჯიკიძე, კარგად ჩანს, რომ მის ცნობიერებაზე მოქმედებს ავტორის ქართული ფესვები, და ეს „ცალკეული ქართული სიტყვების ეტიმოლოგიასთან ერთად ტექსტის რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებში შეიცნობა. ეს გერმანულ - ქართული ლექსიკურ - ინტონაციური ნაზავი ქმნის გრ.

რობაქიძის სტილს“²¹ რომელსაც „ახალს და შორეულს“ უწოდებენ გერმანიაში, ჩვენთვის კი, მიაჩნია დალი ფანჯიკიძეს, ეს ქართულ ფესვებთან მისი ღრმა კავშირის გამოვლინებაა; არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გრიგოლ რობაქიძის ესთეტიკა, თავის მხრივ, გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდისო და, უფრო მეტიც, მწერლის ექსპერიმენტები ქართულში გერმანული ხატებისა და სიტყვადქმნადობის დამკვიდრების მცდელობადაც კი აღიქმება.

თარგმანში გამოყენებულია გრიგოლ რობაქიძისეული ლექსიკა, რიტმული სვლები და შუქ-ჩრდილები, რაც, დალი ფანჯიკიძის აზრით, სტილის ადეკვატურობის მაღალი ხარისხის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

ესეში დახატულია მომავალი ფიურერის სახე, როგორც ავტორს მიაჩნია - უცხოელი მწერლის თვალით. „ჰიტლერი“ გრიგოლ რობაქიძემ 1938 წელს დაწერა, სადაც ჰიტლერი აღწერა პრინციპით - „შენ უნდა იყო ეს“. წიგნი სავსეა ქვეტექსტებით, მაგრამ ომის იმ პერიოდში, როდესაც ქვეტექსტებისათვის არავის ეცალა ვერავინ გაიგო წიგნის ნამდვილი სათქმელი. მასში გამოკვეთილია სიმპათია ჰიტლერის მიმართ, როგორც ძლიერი პიროვნების, რომელიც საკუთარი ერის წინამძღოლია. თუ მოვიშველიებთ მიხაკო წერეთლის მიმართვას, შევძლებთ ესეს ნამდვილი სათქმელის გაგებას, ის გვიჩვენებს, ჩვენც შევეცადოთ, რომ დიდი ქართველის აზრით შევხედოთ მის ნაწერებს, დავინახოთ ის რასაც თავად ხედავდაო.

აკაკი ბაქრაძის აზრით, მწერალი ემოციური არსებაა, მასზე ღრმად ზემოქმედებენ ძლიერი ადამიანები. როგორც სრულად უცნობი, ლამაზი ქალი ააფორიაქებს მწერლის სულს და უმშვენიერეს ლექსებს დააწერინებს, ასევე იწვევს ძლიერი პიროვნება შემოქმედის აღზუნებას. უჩენს სურვილს ხოტბის შესხმის. გრიგოლ რობაქიძეც აჰყვამ ცდუნებას, როცა „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაწერა. აკაკი ბაქრაძის შეფასებით, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ღირსეული და უღირსი ადამიანებით წარსულშიაც ხშირად აღტაცებულა მწერლობა, დღესაც ხდება ეს და მომავალშიც მოხდება; მისი აზრით, აქ დამაფიქრებელი სხვა რამეა, რომ გრიგოლ რობაქიძემ იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი, ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი, მაგრამ ვერ მოახერხა ასეთივე ძალით ჩასწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციზმს,

²¹ რობაქიძე გრ. ჰიტლერი, გვ-69.

ეს კი მისდამი კეთილადგანწყობილ ადამიანებს აკვირვებდათ; მაგალითად, ნიკოლაუს ზომბარტი ფიქრობდა, რომ ჰიტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ - კომუნისტებისაგან დამონებული საქართველოს გამანთავისუფლებელს ხედავდა და ამან გამოიწვიაო ავადსახსენებელი ესეის დაწერა.

აკაკი ბაქრაძის აზრით, დასაშვებია ეს მოსაზრებაც, მაგრამ არის კიდევ რაღაც სხვა, „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ დაწერის საფუძველი, რომლის გასაღებს თავად ავტორი იძლევა.

როცა არჩიბალდ მეკეში, 1908 წელს, პარიზში, ლენინის საჯარო გამოსვლას უსმენს. იგი აღტაცებულია ლენინის სიტყვით, თუმცა, რას ამბობს, არ ესმის. არა მარტო იმის გამო, რომ რუსულზე მწყრალად არის, არამედ იმიტომ, რომ არჩიბალდ მეკეშს „იპყრობდა თვითონ პიროვნება. გარეშე იმისა, თუ რას ამბობდა ან თუ რას ფიქრობდა. პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული“.²²

ეს უნდა გავიმეოროთ გრიგოლ რობაქიძეზეც. ლენინშიც, სტალინიშიც, ჰიტლერშიც, მუსოლინიშიც მას იპყრობდა პიროვნება უშუალოდ, მის შუაგულში აღებული. ამ კუთხით ისინი მართლაც მეტად საინტერესონი არიან. ამიტომ ოთხივეს მიმართ გამოხატა გრიგოლ რობაქიძემ თავისი დამოკიდებულება: ფიურერი ქმედების ისტორიული ნიჭითაა დაჯილდოებული და ეს გამოარჩევს მას სხვა ადამიანებისგან. ეს არის ადამიანი, რომელიც ისტორიას კი არ წერს, არამედ ქმნის, მაგრამ მიაჩნია, რომ არც ლენინს, არც ჰიტლერს, არც მუსოლინის არ ჰქონდა ადამიანის დამანგრეველი ის ძალა, რომელსაც სტალინი ფლობდა.

როსტომ ჩხეიძე, გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების ქრონიკაში „მზისშვილი“, 2018 წლის გადასახედიდან აფასებს ესეის „ჰიტლერი“ და მიიჩნევს, რომ გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერის პიროვნებაში ეძიებს საქართველოს ხსნას, იგი მიაჩნია თავისი ქვეყნის გადამრჩენელად. სწორედ ამან განაპირობა მისი დადებითი დამოკიდებულება ჰიტლერისადმი.

ის ჰიტლერი, რომლის შესახებაც გრიგოლ რობაქიძე ასე აღფრთოვანებული წერს, ჯერ არ აჩენს თავის ნამდვილ სახეს, პირიქით, ერთადერთი ნათელი წერტილია ნოვატორული იდეებით. ჰიტლერისთვის მნიშვნელოვანია თავისი სამშობლო, იღწვის

²² ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტ. II, გვ-168.

მისთვის. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა, რომელსაც როსტომ ჩხეიძე მთელი სიმწვავეით სვამს:

„კი მაგრამ, რაკილა ადოლფ ჰიტლერისათვის ძვირფასია მისი სამშობლო, სხვათა სამშობლოსაც მოკრძალებით მოექცევა?“

დაპყრობითი ომები განა ითვალისწინებს სხვათა სამშობლოების გაფრთხილებს?

გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს მხსენელადაც რომ ესახება ფიურერი და გულისფანცქალით მოელის, როდის დაიდრებიან გერმანიის ჯარები საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგაც, ნუთუ მართლა სჯერა, რომ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მინიჭებენ მის სამშობლოს და აღუდგენენ სახელმწიფოებრიობას?²³ და თავადვე გვთავაზობს პასუხს ამასთან დაკავშირებით, რომ გრიგოლ რობაქიძისთვის მთავარი იყო საქართველოს თავი დაეღწია ბოლშევიზმისგან, დანარჩენი კი დროს უნდა მინდობოდა.

გრიგოლ რობაქიძის ესეს გაგებაში თავად ავტორის სიტყვებიც გვეხმარება, რომ ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის სამყაროში დგასო; სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავდა გერმანელთა ბელადს და ამიტომ მიაჩნდა იგი ქართველთათვისაც სასურველად, სწორედ ქმნადობა იყო ის, რაც ჩვენს ქვეყანას მაშინ სჭირდებოდა.

ჩვენ არ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდა ადოლფ ჰიტლერს გრიგოლ რობაქიძე მოგვიანებით, თუმცა, საგულისხმოა მისი ცნობა უცხოეთში დაცულ, 1947 წლით დათარიღებულ „ჩემს აღსარებაში“. მწერალს „ადოლფ ჰიტლერის“ შესახებ განუცხადებია: ქართულ ენაში „ცდასა“ და „შეცდომას“ ერთი და იგივე ძირი აქვსო (ეს ცნობა გერმანელ მკვლევარს თ. ჰოიზერმანს ეკუთვნის), რაც გვაფიქრებს იმაზე, რომ ჰიტლერის პიროვნების მისეულ გააზრებას შეცდომად თვლიდა, თუმცა მიაჩნდა, რომ ვინც არ ცდება იგი შემოქმედი არააო.

ესე მართლაც სკანდალური აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძისათვის. მან არა ერთგზის შეუშალა ხელი კარიერულ წინსვლაში და სამუდამო შავ ლაქად დაემჩნა მის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას. რობაქიძე თითქოს გრძნობდა კიდევ, ასე რომ იქნებოდა და წინასწარმეტყველურად აღნიშნა „მე ისტორიას არაფერს ვანდობ, რადგან იგი ფრიად დაუნდობელია...“

²³ ჩხეიძე რ. მზისშვილი, გვ-365.

„ჰიტლერში“ გრიგოლ რობაქიძე ძალზე გულახდილად აღწერს ეპიზოდს, როდესაც ბერლინიდან იენაში მგზავრობისას დახვრეტულ თბილისელ მეგობრებზე წუხდა. მონაკვეთი იმით მთავრდება, რომ მწუხარებას პატარა გოგონას მიერ ნაჩვენები ფიურერის სურათი უქარწყლებს. ამრიგად, სწორედ საქართველოში არსებული გამოუვალი მდგომარეობით არის ნაკარნახევი გრიგოლ რობაქიძის სიმპატიკა ჰიტლერისადმი.

შეჯამების სახით კი შეგვიძლია მოვიშველიოთ როსტომ ჩხეიძის სიტყვები: „ცალკე ის უსიამოვნებანი, რაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უნდა განეცადა ევროპაში-მოსალოდნელ სასჯელსა და ფსიქოლოგიურ ტერორს თავი რომ დავანებოთ, საზოგადოებრივი აზრი განეწყობოდა მის წინააღმდეგ, მისი მწერლური ნიჭის დამფასებლნიც აიმრიზებოდნენ და გამოიკეტებოდა დიდი გამომცემლობისა და რედაქციების კარი.

ცალკე სამუდამოდ დახშული კარიბჭე სამშობლოსაკენ, ვიდრე საბჭოთა რეჟიმი გაიხანგრძლივებდა არსებობას. გარდაცვალებაც ვერ შეანელებდა გაგულისებას მის წინააღმდეგ და გრიგოლ რობაქიძის სახელი და ყოველი სტრიქონი კვლავ აკრძალულად გამოცხადდებოდა. იქნებ სხვა შემთხვევაშიც არ გამოეჩინა საბჭოთა ხელისუფლებას ლმობიერება მის მიმართ და, რასაც რუს მწერლებს პატიობდნენ, მისთვის მაინც არ ეპატიებინათ- სიკვდილის შემდგომ მათ სახელსა და ცალკეულ თხზულებებს თუ აეხსნებოდათ ტაბუ, გრიგოლ რობაქიძე - ქართული წარმოშობის გამო- მაინც შერისხული ჰყოლოდათ, მაგრამ ეს ორი (იგულისხმება ესე „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“) პოლიტიკური პამფლეტი განსაკუთრებით დაეხვიათ ხელზე და ყოველგვარ მცდელობას ემიგრანტი მწერლის სახელის რეაბილიტაციას გადაულახავ ზღუდეთ ელობებოდნენ.“²⁴

²⁴ რობაქიძე გრიგოლ, ჰიტლერი, გვ-71.

§2.3. „მზის კაცი“ - მუსოლინი

წიგნი „ჰიტლერი“ შევიდა პარტიის მიერ რეკომენდებულ წიგნთა სიაში. გაიყიდა წიგნის ასი ათასობით ეგზემპლარი. „უცხო მწერალი“ პროპაგანდის სამინისტროში მიიწვიეს, სადაც მიიღო დავალება მსგავსი წიგნი მუსოლინზე დაეწერა, რაც შეასრულა კიდევ. გრიგოლ რობაქიძე მიიწვიეს რომში, აუდიენციაც გაუმართეს, ომის დროს იტალიის მთავრობის ხარჯზე ცხოვრობდა კუნძულ კაპრიზე, სადაც დაიწერა ესე „მუსოლინი“, რაც ნიშნავს „მზის კაცი“ (Sonnenmenson); ეს წიგნიც შევიდა პარტიის ბიბლიოგრაფიაში. როგორც მიაჩნიათ, ამ ესეებით, გრიგოლ რობაქიძე წელში გაიმართა.

ესე „მუსოლინი“ მსგავსი ხასიათისაა, როგორც ესე ჰიტლერზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ წარმოდგენილი პირი ატლანტურ-ხმელთაშუაზღვისპირა სივრცეშია განხილული. ესეებმა თავის დროზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამ წიგნების გამოქვეყნებით გრიგოლ რობაქიძის, როგორც მწერლის სახელი, გარკვეული საფრთხის წინაშე დადგა.

გრიგოლ რობაქიძე არ ყოფილა მუსოლინის ბრმა თაყვანისმცემელი და მისი საქმეებით აღფრთოვანებული, სხვათა მსგავსად, მწერალს შეეძლო თხზულება მუსოლინის ქება-დიდებაზე დაემყარებინა, თუმცა მან სხვა გზა აირჩია. თხზულებაში ნაჩვენებია მუსოლინის ბიოგრაფიის მთავარი შტრიხები. რობაქიძე აღგვიწერს ბელადის პიროვნებას. მიაჩნია, რომ იგი უშუალო და ნათელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. წერს, რომ ვერც ერთი მხატვარი ვერ შეძლებდა მისი შინაგანი სამყაროს ამომწურავი პორტრეტი შეექმნათ, მუქი ლურჯი და მაინც ნათელი თვალები არსებით ხასიათს მალავენ და მის ყოველ გამოსვლაზე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ეს პირველად ხდებოდეს და რომ ათასობით ადამიანი მასთან უშუალოდ შეხვედრას ლამობს, მილიონები მოუთმენლად ელიან მისი ხმის გაგონებას რადიოში.

ავტორი არ ცდილობს თავისი აზრი ვინმეს მოახვიოს. საკუთარი პოზიცია, ნამდვილი სათქმელი, გრიგოლ რობაქიძემ სიმბოლური, მეტაფორული, ფილოსოფიური, მეთოდოლოგიური სახეებითა და პარალელებით შენიღბა, რომელთა

გაგება მხოლოდ მომზადებულ, ერუდირებულ, ელიტარულ მკითხველს თუ შეეძლო, მკითხველი თავად არის დასკვნების გამომტანი.

გრიგოლ რობაქიძეს ნაკლებად აინტერესებდა შიშით, ეჭვით, ორჭოფობით შებყრობილი ადამიანები, რომელნიც მუდამ გზაჯვარედინზე დგანან და ვერ გადაუწყვეტავთ საით წავიდნენ, რა მიმართულება აირჩიონ. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობდა დაეხატა მთლიანი, ძლიერი, შეუპოვარი და უდრეკი ადამიანები, ვისთვისაც მიზანი ყოველთვის ნათელია, ვინც მიზნისკენ მიმავალ გზას არ გადაუხვევს.

აკაკი ბაქრაძის აზრით, ორივე - ჰიტლერიც და მუსოლინიც - დაჯილდოებული იყო თვისებით, რომელსაც მწერალი „მსხვერპლურ შინაგან თვითშეწირვას“ უწოდებდა. ამ თვისებით ისინი თავთავიანთ ერებს ერწყმოდნენ, მათ გამოხატავდნენ. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ სწორედ „ფოლკსვერდუნგშია“ ჰიტლერითა და მუსოლინით გრიგოლ რობაქიძის გატაცების საფუძველი. მართლაც, როგორც ერთმა, ისე მეორემ, თავთავიანთი ერების ენერგია და ძალა გააღვიძეს, ააღორძინეს, ეროვნული ღირსების გრძნობა ჩაუნერგეს. საყურადღებოა, რომ გრიგოლ რობაქიძის ნარკვევში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც ნაციზმზე არც ფაშიზმზე, ეს პოლიტიკური მოძღვრებანი ორივე ნარკვევში გვერდავლილია. საუბარია მხოლოდ ორი პიროვნების ძალასა და ენერგიაზე. რატომ იქცევა ასე გრიგოლ რობაქიძე? აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ, საფიქრებელია, მას ენატრება საქართველოში იმ პიროვნების ხილვა, რომელიც ქართველ ხალხს გააღვიძებდა, საკუთარი ძალის რწმენასა და იმედს ჩაუნერგავდა.

როსტომ ჩხეიძე, წიგნში „მზისშვილი“ ცალკე თავს უთმობს მუსოლინის თემას: „მუსოლინის მითოსური სახეობა ან დ'ანუციოს დამსხვრეული ფრთები“. როცა როსტომ ჩხეიძე ამ საკითხზე მსჯელობს, პირველ რიგში, ცდილობს დაადგინოს თხზულების ჟანრი და წერს, რომ არ აქვს მნიშვნელობა „მუსოლინი“ ლიტერატურათმცოდნეობის რომელ ჟანრს მიეკუთვნება, შეიძლება პოლიტიკური ჰამფლექტი ერქვას, მითუმეტეს, ერთი შეხედვით, უცნაური არც არაფერიაო. გარეგნული სქემაც სულაც განმეორებულია და თემატურადაც „ადოლფ ჰიტლერს“ აგრძელებს. უფრო მეტიც, ვედარც კი წარმოგვიდგენია, პოლიტიკურ ასპარეზზე ეს ორი პიროვნება უერთმანეთოდ და ბუნებრივია, რომ მათ განმადიდებელი თხზულებანიც დაწყვილებულიაო.

გრიგოლ რობაქიძეს მუსოლინის დამსახურებლად მიაჩნდა, რომ მას სამშობლოს დაუბრუნა თავისი ჭეშმარიტი აზრი და ეროვნული შეგნება სახელმწიფო ცნობიერებისა და მორალის საძირკველად აქცია. ვაკირდებოდი დუჩეს გარეგნულ იერს და ისე მახლობელი ხდებოდა, თითქოს „გრეგორის მცველნი“ უკვე მაქვს მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატულიო.

ესეში დახატულია მუსოლინის უდრეკი ნებისყოფა - რა მოთმინება ჰქონიაო - ამ ფრაზით გამოხატავს თავის აღტაცებას ქართველი მწერალი, რათა ეს საქციელი ისე განაზოგადოს, რომ ფარულად იგულისხმოს ქართველებიც, რომელნიც შესაფერის დროს ეძებენ, რათა დაამსხვრიონ რუსეთის იმპერიის უღელი: „ქართველი მკითხველის თვალწინ ძალდაუტანებლად აღმოჩნდება გრიგოლ რობაქიძის მღელვარე სახე და ის მზერა, ამ ეპიზოდის მოსმენისთანავე თავისი სამშობლოსკენ რომ გამოიციქრება და დაედებს იმ პიროვნული ხასიათის ანარეკლებს, აგერ ბენიტო მუსოლინიში რომ შეუსხამს ხორცი“.²⁵

მართლაც, მთელი იდეა ამ წიგნის დაწერის ეს უნდა იყოს - გრიგოლ რობაქიძეს სურს გვიჩვენოს პიროვნება, მის ქვეყანას რომ სჭირდება, თუ არა ასეთი უტეხი ბუნება და ნებისყოფა, თავს ვერასდროს დააღწევს „ურჩხულის კლანჭებისაგან“, რომელიც ბოლშევიზმის სახით არის მოვლენილი ჩვენ ქვეყანაში.

დღეის შეფასებით, „მუსოლინის“ გერმანული ტექსტი ქართული ენის სამყაროსეული სურათებით აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია, სადაც თვალსაჩინოდ იხატება დიდი მწერალი და მოაზროვნე და არა ფაშიზმის აპოლოგია.

ესესთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძე ნიკოს კაზანძაკის სწერდა: „ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“. აქვე დავძენ: არც პირველია ნაცისტური და არც მეორეა ფაშისტური, ამ თემებს მე განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდი.“²⁶

პარიზში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალში გამოქვეყნდა გერმანიაში მცხოვრები ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარის, ნიკო ნაკაშიძის, განცხადება, სადაც წერია: „უფლისა და ერის წინაშე ვაცხადებთ, რომ რობაქიძეს არასდროს და

²⁵ ჩხეიძე რ. მზისშვილი, გვ-373.

²⁶ რობაქიძე გრიგოლ, მუსოლინი, გვ-3.

არსად არ ჰქონია ურთიერთობა ან კავშირი „მესამე რაიხის“ მესვეურებთან, ანდა პარტიის ხელმძღვანელებთან ... და არც ერთს მათგანს პირადად არ იცნობდა.“²⁷

თვითონ გრიგოლ რობაქიძე წერდა: „გავიგე, მანდ ჰგონიათ თურმე: თითქოს მე ჰიტლერიანი ვყოფილიყავი. აქ ორი ფაქტია მხოლოდ. 1. ერთმა მსოფლიო ცნობილმა ორგანიზაციამ მაცნობა ერთს ამბავთან დაკავშირებით, რომ ჩემს წიგნაკს იგი არ თვლის „ნაცისტურად“. 2. მე რომ ჰიტლერიანი ვყოფილიყავი, მაშინ არ ვიქნებოდი გესტაპოს ზვერვის ქვეშ მოქცეული 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე.“²⁸

ესეც განხილვისთვის აუცილებელია მუსოლინის პიროვნებაზე დაკვირვება. პოლიტიკური კარიერის დასაწყისში მუსოლინი სოციალისტი იყო. მან უამრავი სიბოროტისა და ტოტალიტარული რეჟიმის მართვის პარალელურად ბევრი კარგი საქმეც გააკეთა. 1943 წლამდე იტალიაში არ იყო ფაშიზმის ნიშნები – როგორებიცაა მასობრივი განადგურება, საკონცენტრაციო ბანაკები და სხვა. იყო დრო, როცა მუსოლინი ჰიტლერს მოიხსენიებდა, როგორც განდიდების მანიით შეპყრობილ ცხოველს. უდიდესი დამსახურება მუსოლინისა, რაზეც მიუთითებს ავტორი, არის ის, რომ მან ანტიკური რომის იმპერიის იდეის ქვეშ გააერთიანა იტალია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“, მართლაც, არც ნაციზმის არც ფაშიზმის აპოლოგიას არ წარმოადგენს და მათი ნამდვილი შინაარსის გასაგებად აუცილებელია რობაქიძის შემოქმედების მხატვრული სახეების ცოდნა.

კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ეს წიგნი მეორე მსოფლიო ომამდე შეიქმნა: „ამ დროს წინასწარ, არავის შეეძლო განეჭვრიტა ფაშისტებისა და მის მამამთავართა „საქმენი საგმირონი“.“²⁹

²⁷ რობაქიძე გრიგოლ, ტ.I, გვ-17.

²⁸ კარლო ინასარიძის კრებული, გრიგოლ რობაქიძის წერილი ირაკლი აბაშიძეს, გვ-248

²⁹ ლიტერატურული ძიებანი, ტ.XXIX, გვ-157.

თავი III. გრიგოლ რობაქიძე და ნობელის პრემია

§3.1. გრიგოლ რობაქიძე არშემდგარი ნობელიანტი

ქართული ემიგრანტული მწერლობა არაერთ საინტერესო და უცხო თემას შეიცავს. მისი კვლევა დიდი ხანია დაიწყო და კიდევ გრძელდება. უამრავი მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული ლიტერატურადმცოდნეობისთვის დღესაც უცნობი. გრიგოლ რობაქიძის არქივის დაბრუნების საქმეში ლომის წილი შეასრულა გურამ შარაძემ, რომელმაც ჩამოტანილი კოლექცია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა. ამის საფუძველზე გაიხსნა ქართული ემიგრაციის მუზეუმი. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მისი მემკვიდრეობისა. ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ამომწურავად ვისაუბროთ ბევრ ფაქტზე, თუნდაც გრიგოლ რობაქიძის წარდგენა ნობელის პრემიაზე.

კობა იმედაშვილი წერდა: „გრიგოლ რობაქიძეზე ჩემმა თაობამ ყურმოკვრით თუ იცის რამე, ისიც ჭორებისა და ლეგენდების დონეზე.“³⁰ მის შესახებ ბევრი რამ არც მომდევნო თაობებმა იციან. არადა, საქებარ სიტყვებს არ იშურებენ რობაქიძის მისამართით მისი ევროპელი კოლეგები.

ნიკოლაუს ზომბარდტი წერს: „გრიგოლ რობაქიძე დასავლეთ ევროპას ზემოდან დასცქეროდა. მას ჰქონდა ევროპელების წინაშე უპირატესობის გრძნობა, რადგან ქართველი ერი, რობაქიძის აზრით, უფრო ძველი და უფრო კეთილშობილი რასაა“.³¹

ნიკოს კაზანძაკისმა რობაქიძეს თავისი წიგნი, „ჩემი ფრანჩესკო ასიზელი“, აჩუქა წარწერით: „ნათელმხილველს, რომლის თანამედროვე ჯერ არ დაბადებულა“.

შტეფან ცვაიგი: „პირველად ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის რომანით. ქართველთა უძველესი ერი... ცხოვრობს დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში.. და მაინც, ჩვენდა სამარცხვინოდ, უცნობია ჩვენთვის.“³²

³⁰ ცერცვაძე მ. ახალი ადამიანი, გვ-32.

³¹ იგივე, გვ-33.

³² იგივე, გვ-33.

ტასილიო ფონ შეფერ გრიგოლ რობაქიძეს სწერდა: „მე შემშურდებოდა თქვენი გენიისა, რომ რაიმე მიდრეკილება მქონდეს შურიანობისა, მაგრამ რადგან ეს არ მაქვს, დამრჩენია მხოლოდ აღფრთოვანებული ვიყო თქვენით“.³³

გერმანული ჟურნალი „ეხო დერ ცაიტ“- აქვეყნებს წერილს სათაურით „გრიგოლ რობაქიძე - ერთი ნამდვილი პოეტი“. 1933 წელს, როცა წერილი ქვეყნდება, გერმანია სულ ორი ნაწარმოებით იცნობს მას.

შვეიცარიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში გამოქვეყნდა კარგად შედგენილი ცნობა გრიგოლ რობაქიძეზე. მწერალი მოხსენიებულია ასევე „ბროკჰაუსის“ ლექსიკონში.

შვედურ ჟურნალ IDUN-ის ანკეტით გამოკითხვებს უნდა დაესახელებინათ სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი ჩვენი დროის ლიტერატურაში. ნეანდელ ნილსონმა ამ სამში გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ მოაქცია. ამ ფონზე, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ის შეფასებები, რაც ევროპის პარალელურად, საბჭოთა კავშირში იბეჭდებოდა რობაქიძის პიროვნებასთან დაკავშირებით: „მიხაკისფერი ყანწით - ფაშისტური დამლით მკერის შუაგულზე - სვამს გრიგოლ რობაქიძე გერმანული ფაშიზმის, მისი დამპალი კულტურის, რასიული იდეოლოგიის სადღეგრძელოს“.³⁴ ყველასთვის ნათელია რა ვითარებაში იქმნებოდა ამგვარი წერილები, რაც მთავარია კარგად იცოდა თავად გრიგოლ რობაქიძემაც, რომელიც ამტკიცებდა, რომ საბჭოეთში თავისუფალი არავინ არ არისო. მწერალი თავის წერილებში ხშირად იხსენებს ქართველ მეგობრებს და არასდროს გამოუთქვამს საყვედური აღნიშნულის გამო.

გრიგოლ რობაქიძეს „ამკობენ“ მრავალი ეპითეტით, თუმცა არავინ საუბრობს მისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს, თითქმის სრულიად გასაიდუმლოებულ, მონაკვეთზე - მისი კანდიდატურის წარდგენა ნობელის პრემიაზე. თავად ავტორსაც არ გაუმახვილებია ყურადღება ამის შესახებ, გარდა ირაკლი აბაშიძისადმი მიწერილი პირადი ბარათისა, ამიტომაც ამ ფაქტის სანდოობაც ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული მანამ, სანამ თვით ნობელის კომიტეტმა თავისი პირველი 50 წლის ისტორია ეტაპობრივად არ გაანარქივა და დაფარული ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი არ გახდა. მავანთა თქმით, გრიგოლ რობაქიძე მართალია წარდგენილი იყო პრემიაზე, მაგრამ

³³ ცერცვაძე მ. ახალი ადამიანი, გვ-33

³⁴ ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტ. II, გვ-108.

კომიტეტმა მისი კანდიდატურა არც განიხილა მისი სიმპატიების გამო ფაშისტური რეჟიმისადმი. გრიგოლ რობაქიძე მართლაც წარუდგენიათ ნობელის პრემიაზე დიმიტრი მერეჟკოვსკისთან, ივან ბუნინთან და სხვა ცნობილ 27 მწერალთან ერთად.

1932 წელს, იმ წელიწადს, როცა პრემია ჯონ გოლსუორსის ხვდა წილად, გრიგოლ რობაქიძეც იყო ნობელზე წარდგენილი და წარუდგენია იგი მისი რომანების გერმანულ ენაზე მთარგმნელს, ქართველოლოგსა და სლავისტს, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს რიხარდ მეკელაინს.

ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომისიისათვის ივან ბუნინიც და გრიგოლ რობაქიძეც ორივე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო, ასევე დიმიტრი მერეჟკოვსკიც. ყველა მათგანი ტაბუირებული - ამდენად, არც ერთი მათგანი არა თუ წარდგენილი, მხარდაჭერილიც არ ყოფილა საბჭოთა კავშირის მიერ, ამიტომაც სრულიად გასაგებია სურვილი კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, ანდერს ესტერლინგისა: „და რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ ნომინაცია მწერლის ქვეყნიდან მოდიოდეს“.³⁵

1962 წლის აპრილში, გრიგოლ რობაქიძე, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს, ირაკლი აბაშიძეს, სწერდა: „საქართველოში მე არ მახსენებენ; თუ „ვერ“ მახსენებენ... მე არავის ვეძალები, მახსენოს მაინც და მაინც. ვინც მე მიცნობს, უმაღლვე დაიჯერებს ამას. ვერ გამიგია მხოლოდ ერთი რამ: რუსეთში ივან ბუნინის ნაწერებს ათიათასობით აქვეყნებენ- საქართველოში გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებასაც გაურბიან. დავიჯერო, ბუნინი ჩემზე ნაკლები „ანტი“ იყოს!³⁶

³⁵ ცერცვაძე მ. ახალი ადამიანი, გვ-41.

³⁶ კარლო ინასარიძის კრებული, გრიგოლ რობაქიძის წერილი ირაკლი აბაშიძეს, გვ-249.

§3.2. გრიგოლ რობაქიძე და სტეფან ცვაიგი

გრიგოლ რობაქიძე იყო მეოცე საუკუნის ის ქართველი მწერალი, რომელიც ევროპამ გაიცნო. მისი შემოქმედების ამლიარებელ-დამფასებელთა შორის იყვნენ: სტეფან ცვაიგი, ნიკოს კაზანძაკისი, რომენ როლანი და სხვა ცნობილი მწერლები. მათი დამოკიდებულება გვიჩვენებს გრიგოლ რობაქიძის მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობას არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო კულტურისათვის. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შვედური ჟურნალი „იდუნის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში გრიგოლ რობაქიძე სამეულში მოხვდა თავისი „ჩაკლული სულით“.

2016 წელს, საგამომცემლო პროექტ „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“ ეგიდით, პირველად გამოდის გრიგოლ რობაქიძის სტეფან ცვაიგისადმი მიწერილი წერილები, რომელთა გაცნობის შემდეგ, მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართველი მწერალი ელეგანტურად იყენებს თავის უსაზღვრო განათლებას, რათა ევროპულ წრეებში შესვლა და დამკვიდრება შესძლოს. გრიგოლ რობაქიძის მახვილი მზერა და წმინდა ინტუიცია მისთვის ყველაზე ახლობელ, მონათესავე სულს ირჩევს სამეგობროდ სტეფან ცვაიგის სახით. მაკა ჯოხაძეს მიაჩნია, რომ წიგნში მოცემული მასალა უნიკალურია, რადგან ჯერ ერთი, პირველად ქვეყნდება ორი დიდი მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, მეორე იმით, რომ გრიგოლ რობაქიძის წერილებსი ყველაფერია მოცემული, კარგად ჩანს მისი ღრმა ცოდნა, როგორ გრძნობს, „რომ მსოფლიო ლიტერატურული სამყაროსათვის მისი გამოჩენა არა მხოლოდ საინტერესო და სასურველი, არამედ მოულოდნელიც იქნება“³⁷

გრიგოლ რობაქიძე 1927 წელს გერმანიაში გაემგზავრა ლიტერატურული საქმეების მოსაგვარებლად. ძალიან მალე, გერმანულ ენაზე აქვეყნებს რომანს „გველის პერანგი“, იმ დროისათვის უკვე აღიარებული მწერლის, სტეფან ცვაიგის, წინასიტყვაობით:

„და თუ ჩემი რომანი თქვენი შეფასებისას ცეცხლის ამ ძალას გაუძლებს, მინდა, გთხოვოთ რამდენიმე სიტყვის დაწერა, რომელიც ძალიან მჭირდება ევროპელი მკითხველისათვის... საქმე ეხება არა პოეტის ლიტერატურულ სახელს, არამედ ერთი

³⁷ რობაქიძე გრიგოლ, წერილები სტეფან ცვაიგს, გვ-5.

პატარა აღმოსავლური ერის სულიერი მდგომარეობის გაცნობას ევროპელი ხალხებისათვის“.³⁸

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ჩნდება განცდა, რომ მკითხველი ერთი კონკრეტული მწერლის თავგადასავალს კი არა, დიდი კულტურისა და უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის თავგადასავალს ეცნობა.

შტეფან ცვაიგმა რომანის გაცნობის შემდეგ დაწერა, რომ მან „ახალი სამყარო“ აღმოაჩინა: „მე გამიფართოვა ამ ნაწარმოებმა ჩვენი მსოფლხედვა, ეგზოტიკურობის ჰორიზონტი გამაბედნიერებელი ხერხით გამიშუქა და, ჯერ კიდევ უცხო სახით, ეპიკური პოეზია შესაგრძნობი გახდა ჩემთვის... მას შემდეგ, რაც მე წავიკითხე ეს არაჩვეულებრივი წიგნი“.³⁹

გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“, სწორედ ავსტრიელი მწერლის წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1928 წელს, გერმანიაში, იენაში, დიდრიხტის გამომცემლობაში.

ორ დიდ მწერალს შორის ურთიერთობა ამ რომანით დაიწყო და საფუძველი ჩაუყარა მათ შემდგომ პირად მეგობრობას. გრიგოლ რობაქიძის წერილებში კარგად ჩანს მისი გულთბილ დამოკიდებულებას შტეფან ცვაიგისადმი. იმის გამო, რომ ხელი არ მოგვიწვდება გრიგოლ რობაქიძის შვეიცარულ არქივზე, არ მოგვეპოვება სტეფან ცვაიგის გრიგოლ რობაქიძისადმი მოწერილი წერილები, თუმცა ხელმისაწვდომია ქართველი მწერლის მისადმი მიწერილი წერილები, რომელებიც დაცული აღმოჩნდა ამერიკაში, ნიუ - იორკში, ფრედონის უნივერსიტეტის დანიელ რიდის ბიბლიოთეკაში, შტეფან ცვაიგის არქივში.

ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილებისა და სპეციალურ კოლექციათა კოორდინატორის, კიმ ტეილორის ინფორმაციით, დოქტორმა ევა ალბერმანმა რიდის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა სტეფან ცვაიგის პირადი არქივი, სწორედ მათ შორის იყო გრიგოლ რობაქიძის წერილებიც.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ დამყარდა გრიგოლ რობაქიძესა და სტეფან ცვაიგს შორის ნაცნობობა. ერთადერთი, რაც საშუალებას იძლევა, ამ საკითხს ნათელი მოჰფინოს, თავად რობაქიძის წერილია სტეფან ცვაიგისადმი მიწერილი:

³⁸ რობაქიძე გრ, წერილები სტეფან ცვაიგს, გვ-7.

³⁹ შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, გვ-177.

„ლიტერატურული საქართველო, ევროპაში სამოგზაუროდ როცა მაცილებდა, ერთი პოეტის შეკითხვაზე, უპირველეს ყოვლისა, ვის მივმართავდი, სხვა პოეტმა, ჩემმა შემოქმედებითმა ძმამ, ინტუიციური გულით ნათელმხილველივით, დაუყოვნებლივ წარმოსთქვა: ბუნებრივია, სტეფან ცვაიგს! ეს იყო ჩემი პასუხიც“.⁴⁰ გრიგოლ რობაქიძის დიდ პატივისცემას სტეფან ცვაიგისადმი ადასტურებს რომანის ახალი რედაქცია, რომელიც სწორედ ავსტრიელი მწერლის შენიშვნების შემდეგ შექმნა და თვლიდა, რომ მეორე ვარიანტი პირველს ბევრად, ბევრად სჯობდა: „თუმცა გადაკეთება - გადმოკეთება ახლა რაღას უშველიდა, რაკილა - მისი დაბეჯითებული რწმენითაც - დაბეჭდილი ნაწარმოები თვითმყოფადი არსება გახლდათ და საკუთარი ცხოვრებითაც ცხოვრობდა „გველის პერანგი“ კი უკვე ცხოვრობდა ათასობით ქართველის სულში.“⁴¹

21 თავის მაგივრად რომანის ახალი ვარიანტი 8 თავისგან შედგებოდა და მოცულობით 360 გვერდის მაგივრად 260 გვერდილა დარჩენილიყო.

რომანი თარგმნა პროფესორმა რიხარდ მეკელაინმა, რომელმაც ქართული ენა სრულყოფილად იცოდა. როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, რომ, ბუნებრივია, თარგმნისას გარკვეულ მონაკვეთებს თავად ავტორი გადაამუშავებდა. მაღლიერების გამომხატველ წერილში წერდა, რომ თქვენი ფასდაუდებელი წერილით მიბიძგეთ რომანი ახლებურად შემევესო და ევროპელი მკითხველის გემოვნებას მივახლოვებოდიო. თუ ჩემ ნაწერებს ევროპელი მკითხველი მოიწონებს, ეს უთუოდ თქვენი დამსახურება იქნებაო. 9 სექტემბერს მაღლობისათვის მიწერილ წერილში მიაჩნდა, რომ უკვე საბოლოო ფორმა შეიძინაო.

სტეფან ცვაიგის გარდა რომანს მაღალ შეფასებას აძლევდა მარტინ ბუბერი, რომელიც ერთ - ერთ რედაქციას სწერდა: „ბატონმა რობაქიძემ მთხოვა რამდენიმე სიტყვა მომეწერა თქვენთვის წარმოდგენილ მის რომანზე. მე წავიკითხე ტექსტის დაუმთავრებელი თარგმანი... თუმც წაკითხულიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემზე შთაბეჭდილება მოეხდინა თხრობის განსაკუთრებულ უნარს, რომლის უთვალსაჩინოესი ღირსებებიცაა: მრავალმხრივ იმპრესიონისტული, მაგრამ ძლიერი და ჭეშმარიტი ხედვა, ამასთან უცნაური აზრი „ისტორიის იმ საიდუმლოების“ სენსაციის

⁴⁰ რობაქიძე გრ. წერილები სტეფან ცვაიგს, გვ-13.

⁴¹ ჩხეიძე რ. მზისშვილი, გვ-123.

შესახებ, რომელიც ბნელი და შთამბეჭდავი სამალავიდან აწმყოს ნახსენებ მოვლენებში გადათამაშდება. ვფიქრობ, წიგნს თავისი თემატური სიახლით, ამასთან გამოსახვის სტილით გერმანული პუბლიკის ფართო წრეების დაინტერესება შეუძლია..⁴²

ამგვარი შეფასებების მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძეს გაუჭირდა გამომცემლების დაინტერესება, რადგან, მისივე თქმით, წიგნი „ადამიანებისთვის“ იყო გათვლილი და არა „მასებისთვის“. გამომცემლები კი სწორედ „მასების“ ინტერესების შესაბამისად მოქმედებენო - წერდა გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთ წერილში ავსტრიელ მეგობარს.

მართალია სტეფან ცვაიგის წერილები არ მოგვეპოვება, მათ შესახებ ინფორმაციას ვიღებთ რობაქიძის საპასუხო წერილებიდან; სწორედ აქედან ხდება ცნობილი, რომ ავსტრიელ მწერალს გერმანული გამომცემლობის დამაარსებლისათვის, ზენკრაცისათვის, მიუწერია. ამ წერილმა გრიგოლს უდიდესი სიხარული მიანიჭა და გადაუწყვიტა ახალი ნაწარმოები, რომელსაც იმ დროს წერდა, სტეფან ცვაიგისათვის მიეძღვნა ასეთი წარწერით-პოეტს, ესეისტს, ადამიანს. ასე გამოხატა მისადმი მაღლიერება.

27 სექტემბერს, გრიგოლ რობაქიძე, ოიგენ დიდერიხსის გამომცემლობასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სწერდა: „გულწრფელად ვაღიარებ, ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება, თუ რომანი თქვენი წინასიტყვაობით დაიბეჭდება და ისე მოველინება სამყაროს..⁴³

შტეფან ცვაიგის და გრიგოლ რობაქიძის უახლოეს ურთიერთობას ადასტურებს ის, რომ ქართველი მწერალი თავის უსუსურ მდგომარეობაზე ლაპარაკსაც კი არ ერიდება, გრიგოლ რობაქიძეს სურდა, რომ გამგზავრებულიყო ზალცბურგში ავსტრიელი თანამოკალმისთვის მაღლიერების პირადად გამოსახატად, მაგრამ ამჟამად თავს გრძნობდა დაღლილად, დაქანცულად, განებივრებულად, უძლურად: ეს მდგომარეობა აიძულებდა მიეწერა: ახლა შემოდის ამაზე მოგწეროთ, რადგან ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდაო.

⁴² ჩხეიძე რ. მზისშვილი, გვ-124.

⁴³ რობაქიძე გრ. წერილები სტეფან ცვაიგს, გვ-82.

გრიგოლ რობაქიძე ცვაიგს საქართველოში ეპატიჟებოდა და წინასწარ ადგენდა განრიგს, თუ როგორი იქნებოდა ავსტრიელი მეგობრის სტუმრობა. იცოდა, რომ ლიტერატურული საქართველო უსაზღვრო აღფრთოვანებითა და სიხარულით ელოდებოდა შტეფან ცვაიგის სტუმრობას. ეს კი გამოწვეული იყო; ერთი მხრივ, თვითონ ცვაიგის პიროვნებით და მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ევროპელი მწერალი ქართველი მწერლის შესახებ იწერებოდა. მათი მეგობრული დამოკიდებულება მხოლოდ წერილებით შემოიფარგლებოდა. ქართველმა მწერალმა ავსტრიელი გულშემატკივარი მხოლოდ ტოლსტოის ასი წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, 1928 წლის 10 აგვისტოს გაიცნო. ლიტერატურული დღიური „ტოლსტოის დღეები“, სწორედ შტეფან ცვაიგის სტუმრობას მიუძღვნა, სადაც ავტორი მხოლოდ ავსტრიელ მეგობარზე საუბრობს.

„იზვესტიაში“ დაბეჭდილ ცნობას, რომ: „ავსტრიელი მწერალი წამოვიდოდა მოსკოვისაკენ სექტემბრის შვიდს ან რვას.“ მწერალთან გაგზავნილი წერილიც დაერთო, რომლითაც ცვაიგი ატყობინებდა: დავესწრებო. გრიგოლ რობაქიძეც დაუყოვნებლივ გაემგზავრა მოსკოვში. ორი წლის პირად მეგობრობას, პირადი ნაცნობაც დაემატა, რამაც კიდევ უფრო გულმხურვალე გახადა მათი მეგობრობა.

საინტერესოა გრ. რობაქიძის თვალთ დანახული შტეფან ცვაიგი: „პირველი შეხედვით კიდევ გაგიკვირდებათ: ეს კაცი წერს ამ ნოველებსა ამ მონოგრაფიებს?! მაგრამ ეს „გარეგანი ხედვაა“. შიგადაშიგ ცვაიგს სახე ეცვლება. ხანდახან, გაკვრით ჩნდება სულიერი დამაბულობა. ეს მალულად ხდება: ასე ვთქვათ - „განზე“. უნდა „შეისწრო“: მხოლოდ მაშინ ხედავ მისი სახის ნამდვილ მეტყველებას.“⁴⁴

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძესა და შტეფან ცვაიგს შორის მიმოწერა „გველის პერანგის“ გამოცემით დაიწყო, მაგრამ წერილების თემა მოგვიანებით მეგობრული სახეს მიიღო, ამასთანავე, ჩანს თუ როგორი მჭიდრო და აქტიური ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდათ. მათი მიმოწერა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში ჩანს გრიგოლ რობაქიძის მცდელობა, წარმოედგინა ქართული კულტურა ავსტრიელი მწერლის წინაშე, რომელიც შემდეგ, თავის მხრივ, მას ევროპის წინაშე წარმოადგენდა.

⁴⁴ რობაქიძე გრიგოლ, წერილები სტეფან ცვაიგს, გვ-11.

§3.3. გრიგოლ რობაქიძე და რუდოლფ კარმანი

გრიგოლ რობაქიძის დამფასებელთა შორის ერთერთია რუდოლფ კარმანი, რომელიც წერილში „გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება“ წერს, რომ გრიგოლ რობაქიძის ენა ლაკონურია, სიტყვები ძირმაგარი, ძარღვიანი, ასე ლაპარაკი კი მხოლოდ უძველეს ადამიანებს შეუძლიათ: „გრიგოლ რობაქიძეში გაერთიანებულია კილო და თხრობა ხევსურისა, ქისტის, მეგრელისა და სვანის. სასწაულებრივი და განუმეორებელია ცეცხლოვანი ენა გრიგოლ რობაქიძისა, რომლის შორსმჭვრეტელი თვალები გასცემს პირველქმნილი ადამიანის აღტაცებას, რომელმაც ცეცხლი აღმოაჩინა“⁴⁵. რუდოლფ კარმანის აზრით, პოეტში ბაკხანური გენია გამოფხიზლებული.

რუდოლფ კარმანი საუბრობს გრიგოლ რობაქიძის განცდებზე პიესა „ლამარას“ შექმნისას; იმ ხანებში გარდაცვლილა საქართველოს ორფეოსი, გრიგოლ რობაქიძის მეგობარი, ვანო სარაჯიშვილი: „იმ დროს, როცა ვანო სასიკვდილოდ იყო დავარდნილი, „ლამარას“ ვწერდი.. დავმარხეთ განსვენებული. შევუდექი მე-4 კამარას. მოვათავე ისე, რომ ერთი სიტყვა რაა.. შესწორება არ დამჭირვებია. გულისტკივილი თუ იქცა სინათლედ... სხვანაირად ვერ ამიხსნია ეს საოცარი მოვლენა“.⁴⁶ რუდოლფ კარმანის აზრით, ალბათ სამუდამოდ დადუმებულმა ორფეოსმა არგუნა პოეტს ეს დიდი მადლი.

რუდოლფ კარმანი გრიგოლ რობაქიძის თხზულებების მუსიკალურობაზე საუბრობს, განსაკუთრებით კი „ლამარაზე“, რომელიც, მისი აზრით, პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე ხსენებული პრინციპითაა გამართული.

გრიგოლ რობაქიძის ადამიანები მის აღწერაში მითიური ფენებიდან ამოდიანო, ამბობს რუდოლფ კარმანი, დრამა „ლამარათი“ კი გრიგოლ რობაქიძემ სოფოკლე უკან ჩამოიტოვაო.

იგი განიხილავს მოთხრობებს „ღმერთის ძახილი“, „ჩაკლული სული“, „ლამარა“, „მეგი“, სადაც მათ მითიურობაზე საუბრობს: „მეგიში“ ზმულია მითიური კოლხი ქალი მედეა, როგორც მისი ხორცი და სისხლი: ბედი მეგისა, არის ბედი მედეასი, მისი ჭირი და

⁴⁵ გრიგოლ რობაქიძე, კრებული, ტ.15, გვ-305.

⁴⁶ იგივე, გვ-305.

ლხინი მედეას ჭირი და ლხინია“.⁴⁷ რუდოლფ კარმანის აზრით, გრიგოლ რობაქიძის ადამიანები ცხოვრობენ და მოქცეულები არიან თავიანთ კანონში, რაც ბედმა არგუნა მათ. ამ ადამიანთა მოდგმა ზეიმია ზეიმამდე, თითქოს დაუძლეველ და უსასრულო ფერხულში ჩაბმულანო: „სიყვარული ღვთაებრივი რამ არის. თუ მას სხეულით შეეხები - მას ჰკლავ. შეიძლება მხოლოდ იწვოდეს, ცეცხლი გეკიდებოდეს... იწვოდეს და არ იფერფლებოდეს“⁴⁸ - ამბობს ხევსური გრიგოლ რობაქიძის ნოველაში „მაგიური წყაროები“.

რუდოლფ კარმანს გრიგოლ რობაქიძის პერსონაჟების შეფასებისას მოჰყავს ჰილდერლინის სიტყვები: „ცვივიან, როგორც სათამაშო საგნები, ისინი მიჩქრიალებენ, როგორც ჩანჩქერი კლდიდან კლდეზე გადაგდებული გაუგებრობაში“⁴⁹ ავტორი მიიჩნევს, რომ, გრიგოლ რობაქიძე, უეჭველად, უფრო ღრმად ეუფლება და გვამცნობს დასავლეთის ზოგიერთ პრობლემას, ვიდრე თვითონ ჩვენო, რადგან ის გრძნობს თავს, როგორც „უეჭველი დასავლელი“ და ეს თავის „ატლანტურ ოცნებაში“ გამოავლინაო. მას, როგორც უძველეს დასავლელს, განსაკუთრებული მისიის შესრულება ხვდაო წილად ევროპაში.

მისი აზრით, გრიგოლ რობაქიძის ნაზავი განსაკუთრებულია, რომ ნაწერებში იგრძნობა სიცოცხლის ძირები და მაჯისცემა უკვდავებისა, რომელსაც არ ჰყავს სწორფერი. მითოსი მასში ყველაზე ძლიერი ძალაა. დროებითი ფორმები თითქოს შერწყმულიაო ყოფაში.

რუდოლფ კარმანის აზრით, გრიგოლ რობაქიძის სახელი დღეს სიმბოლოდ არის ქცეული: იგი არის სიმბოლო გამოღვიძებული აღმოსავლური მწერლობისა, რომელიც უკვე შემდგარია გზაზე, რომელმაც მას მსოფლიო ლიტერატურაში შესაფერისი გზა კვლავ უნდა მოუპოვოს; მართალია „გველის პერანგის“ და „მეგის“ ორივეს, ქვესათაურად რომანი აქვს, მაგრამ, მისი აზრით, ისინი გაცილებით მეტნი არიან და წარმოადგენენ გიგანტურ ნახატს ხელახლად წამოზრდილი სულისა, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს.

⁴⁷ გრიგოლ რობაქიძე, კრებული, ტ.15, გვ-305.

⁴⁸ იგივე, გვ-305.

⁴⁹ იგივე, გვ-305.

რუდოლფ კარმანი „ჩაკლული სულის“ დედააზრს ასე განმარტავს: ავტორმა ამ რომანით ევროპელ მკითხველს გადაუშალა ბოლშევიზმის არსი და დახატაო „მითოსური სახე“ თავისი ანტიპოდის - ჯუღაშვილი-სტალინისა.

თავი IV

გრიგოლ რობაქიძე და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები

§4.1. „რეალური სტალინი“

გრიგოლ რობაქიძე გერმანულ ენას სრულყოფილად ფლობდა, მისი გერმანულით თვითონ გერმანელებიც კი აღფრთოვანებულები იყვნენ: თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური გამოთქმის საშუალებანი ჯერ მიუღწეველ, არნახულ დონეზე აიყვანეთ, გულწრფელად მწამს, რომ რილკეს შემდეგ ასეთი სრულყოფილი არაფერი გამოსულა გერმანულ ენაზეო - ეს სიტყვები გერმანული ხელნაწერების წაკითხვის შემდეგ ცნობილ პოეტს, ფრანკ მარაუნს მიუწერია გრიგოლისათვის. ხანგრძლივი ემიგრაციის მიუხედავად, მწერალი არასდროს მოსწყვეტია ქართულ ფესვებს. სწორედ ქართული ენის წიაღიდან არის ნასაზრდოები მისი შემოქმედება.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი სამი ურჩხულის - რუსული ბოლშევიზმის, იტალიური ფაშიზმის და გერმანული ნაციზმის ხანაა. ამ სამი ურჩხულიდან ყველაზე სასტიკი, დაუნდობელი და სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი იყო. ისეთი დიდი მოღვაწე, როგორც გრიგოლ რობაქიძეა გვერდს ვერ აუვლიდა სტალინს, მაგრამ მისი რეალური სახის წარმოჩენას მხოლოდ ემიგრაციაში გაბედა. სტალინის სახე კარგად აისახა მწერლის რომანში „ჩაკლული სული“, რომელიც ემიგრაციაში წასვლიდან მალევე დაწერა, 1932 წელს, სადაც ერთი თავი, „სტალინის ჰოროსკოპი“, ბელადის პორტრეტის ჩვენებას დაუთმო. „ეს წიგნი, რომელსაც ტყუილად როდი ეწოდება „ჩაკლული სული“, ცდილობს მხატრულად წარმოაჩინოს ბოლშევიზმის ქვესკნელური გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში“⁵⁰.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ „ჩაკლული სული“ მოხვდა იდუნის მიერ გამოკითხულ სამ უმნიშვნელოვანეს წიგნთა შორის მსოფლიო ლიტერატურიდან, სადაც გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს აღწერს. მას არაფრის გამოგონება არ დასჭირდა, რადგან ყველაფერი საკუთარ თავზე ჰქონდა განცდილი, თავად იყო ამის მომსწრე. რომანში, უპირველესად, მწერლის დამოკიდებულებაა წარმოჩენილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და, რაც მთავარია, სტალინისადმი.

⁵⁰ რობაქიძე გრიგოლ, ჩაკლული სული, გვ-172.

მაია ჯალიაშვილს მიაჩნია, რომ რომანის თემატიკა მწერლისაგან უფრო პუბლიცისტურ სტილს მოითხოვდა, ამიტომაც ნაწარმოების ენა ნაკლებად ხატოვანია, ამასთან ერთად, „ჩაკლული სული“ ქართულ ენაზე 1989 წელს თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ, თარგმანში კი ისედაც პუბლიცისტური სტილი, კიდევ უფრო დაშორდა მწერლის სტილს. მთელი აქცენტი გადატანილია ეპოქის გაშიშვლებასა და ადამიანში სულის ჩაკვლაზე. თვითონ რომანშივე არის ანალიზი ეპოქისა - ამა თუ იმ მოვლენის არა მხოლოდ ობიექტური ასახვა, არამედ განსჯა და მწერლისეული შეფასებაცაა მოცემული.

როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, რომ თუ თემურ-ლენგიც, გიორგი სააკაძეც, ნოე ჟორდანიაც, ლენინიც, მუსოლინიც, ჰიტლერიც მონუმენტურები, ამაღლებულები არიან და რეალური შტრიხები და დეტალები მხოლოდ ღრმა განზოგადებისთვის გამოერევა მათ პორტრეტებს, სტალინი კი თავიდან ბოლომდე რეალური მანერითაა წარმოსახული და ყოველივე ზედმიწევნით გამიწიერებულია. ეს ზედმიწევნით გამიწიერებული ტექსტი, „სტალინის ჰოროსკოპი“, ცალკე თავად ჩაერთო რომანს.

მწერალმა სტალინი გველს შეადარა, რომელიც იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას. სტალინის აღზევების ერთ-ერთ განმსაზღვრელად, გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნია ის, რომ მას კარგი მეხსიერება და არა მახსოვრობა ჰქონდა, ძლიერი და ცივი ლოგიკის პატრონი იყო. სტალინს ესმოდა ყველაფერ და ხედავდა ყველაფერს. მისთვის დაფარული და მიუხვედრელი არაფერი იყო, ამიტომაც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ზეკაცთა პორტრეტების, წარმოსახვისას არსად ჩანს მათი წარმომომობა, რადგან ისინი მითიურ არსებებად უნდა წარმოჩენილიყვნენ, მაგრამ რაკი სტალინი ძალიანაც რეალურია, კიდევაც გამოჩნდება მამის სილუეტი - „ბოლშევიკი, მსმელი, სასტიკი ადამიანი, რომელიც ცოლისა და შვილის ცემას არ ერიდება“⁵¹.

როსტომ ჩხეიძის აზრით, მწერალი ყმაწვილის ფსიქიკის სამუდამო და მილიონობით ადამიანისათვის საბედისწერო დამახინჯების მიზეზს მამა-შვილის მძულვარებით აღსავსე ურთიერთობაში ეძებს: „იმის გაფიქრებაც კი, რომ მამა დაბრუნდება, ბიჭს ტანში ზარავდა. თვით სამყაროს შეცნობაშიც კი სიბილწეს ხედავდა,

⁵¹ რობაქიძე გრიგოლ, ჩაკლული სული, გვ-96.

მამა კი ურჩხულად ეჩვენებოდა⁵². აი, აქ ხედავს გრიგოლ რობაქიძე სტალინის ტრაგედიას. ამ პირქუმ ადამიანს მხოლოდ იმიტომ შეეძლო ამდენი უბედურების მოტანა, რომ თავად იყო უბედური.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, სტალინის შედარება ჩინგის ხანსა თუ თემურ-ლენგთან არ შეიძლება, რადგან მათ ცეცხლი და სიშმაგე ჰქონდათ, სტალინი კი ცივისსხლიანი იყო. სტალინის უპირატესობა მეტოქეებთან შედარებით სწორედ მისი უცეცხლობა, ცივისსხლიანობა იყო. თუ მტრის დასამლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. „სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა, მისი ირონია კი უბადლო იყო.“⁵³

თამაზ ვასაძე მიიჩნევს, რომ: „გრიგოლ რობაქიძის მიერ წარმოსახული სტალინი ანტიდიონისური ადამიანია, რომ იგი მოკლებულია თავდავიწყების, თრობის, აღფრთოვანების და სამყაროსთან ექსტაზურად გამთლიანების უნარს.“⁵⁴

სტალინი ძლიერი პიროვნებაა, მაგრამ სინათლისა და სიკეთის ნაცვლად ანგრევს და არ აშენებს, სკობს და არა ქმნის და, მაინც, ის არის, ვისზეც მილიონები ფიქრობენ: როგორია ის; როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი? როგორი შინაგანი სამყარო აქვს, რა სწყინს, რას ფიქრობს, რა ეროვნება და რა პიროვნებაა, საერთოდ გააჩნია ეროვნება კი, თუ მართლაც რაღაც უპიროვნო, ბნელი ძალის გამოვლინებაა ადამიანში? ამ პირქუმ ტირანს მხოლოდ იმიტომ შეეძლო ამდენი უბედურების მოტანა, რომ თვითონ იყო უბედური: რადგან არ გააჩნდა ბედნიერებისთვის საჭირო უნარი, უნარი სიყვარულისა. „აქ დაეღო ხახა უღრმეს სიცარიელეს მისი კაეშანისას, დამნაშავეობის შეუვალ ნიღაბს რომ ამოეფარებოდა“.⁵⁵ ამ გარემოებითვე ხსნის მწერალი სტალინის „ასკეტიზმს“, რასაც ყველა აღნიშნავდა.

სტალინს გრიგოლ რობაქიძე არ განიხილავს, როგორც მხოლოდ ცალკეულ ინდივიდს, როგორც მხოლოდ ძალზე რთულ პიროვნებას. იგი ამ ადამიანში რაღაც ბნელი, მისტიური ძალების განხორციელებას ხედავს, რომელიც მხოლოდ ტოტალური უღმერთობის პერიოდში შეიძლება გაჩენილიყო.

⁵² ჩხეიძე როსტომ, მზისშვილი, გვ-460.

⁵³ რობაქიძე გრიგოლ, ჩაკლული სული, გვ-99.

⁵⁴ ვასაძე თამაზ, ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში, გვ-219.

⁵⁵ რობაქიძე გრიგოლ, ჩაკლული სული, გვ-108.

„სტალინის ჰოროსკოპში“ მწერალი საბჭოთა ბელადის ფენომენის ახსნას შეეცადა. მისი აზრით, სტალინი რევოლუციის განხორციელებად იქცა, ის უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი.

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძე სტალინს განიხილავდა როგორც თავისუფლების ხელისშემშლელს, რომლის წინაშე ყველა დამონებულია, მწერლისთვის კი თავისუფლება იყო ადამიანობის პირველი საწინდარი. სწორედ ამიტომ აკრიტიკებდა იგი ასე მწვავედ ბელადს: „ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია. თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში“.⁵⁶ საბჭოთა კავშირში კი თავის-უფალი არავინ ყოფილა.

§4.2.ნოე ჟორდანია - დიდი ქართველი

ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე, ასე იწყებს გრიგოლ რობაქიძე წერლის ნოე ჟორდანიაზე: „მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. ჟორდანიას პროფილში არის უცნაური სირბილე : არა მარტო გურიის ველების: არამედ მთელი იბერიის მიწის.“⁵⁷ გრიგოლ რობაქიძე ვერ მალავდა, რომ უყვარდა ჟორდანიას აცეცხლება, რომელსაც გამართლებას იმით უძებნიდა, რომ ეს აცეცხლება სათნოების ტემპერამენტად უფრო ითვლება ვიდრე სიავის ცეცხლადო.

„ბიბლიისა და ღმერთთან მოლაპარაკე ქურუმების ასოციაციას, რა გასაკვირია, თეთრი გიორგის ხსენებაც რომ მოჰყოლოდა, და კიდევ - ქაშვეთის, და კიდევ - მარიამ ღვთისმშობლის, ვისი წილხვედრიცაა საქართველო. ლეგენდაა? მაგრამ ლეგენდაში ხომ უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე გაზეთის ქრონიკაში, მითუმეტეს, ეს საიდუმლო ცოდნა ქაშვეთს ფრინველივით დასტრიალებს თავს. და კიდევ - წმინდა - ნინოსი ვისი

⁵⁶ კარლო ინასარიძის კრებული, მიმართვა ახალგაზრდობისადმი, გვ-6.

⁵⁷ ჩხეიძე როსტომ, მზისშვილი, გვ-431.

ვაზითდამთვრალი ჯვარიც აცხელებს ამ ლეგენდას - და ქეთევან წამებულის - ვისი სურნელოვანი ცრემლიც ნელად ალბობს“.⁵⁸

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ ლენინს ამგვარი რამ არ შეუძლიაო. მწერალს დაზუსტებით არ შეუძლია იმის თქმა, ლოცულობს თუ არა ჟორდანია, თუმცა იცის, რომ მრავალი ლოცულობს ჟორადიაზე, საპირისპიროს კი ამბობს ლენინზე, არ შეიძლება რომ ვინმე მასზე ლოცულობდესო.

როსტომ ჩხეიძის აზრით, ნოე ჟორდანიას სახე ისე გადიდებულა მის წარმოსახვაში, რომ გასაკვირიც არაა მისი თანასწორი თუ ვერ უპოვია. გრიგოლ რობაქიძე მას დიდ ქართველად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ, მართალია ისტორია ქმნის ისტორიულ ფიგურას, მაგრამ ჯერ პიროვნება უნდა იყოს, ისტორიამ რომ აგირჩიოსო. ნოე ჟორდანია კი სწორედ დიდ პიროვნებად მიაჩნდა, რომელსაც იმთავითვე ჰქონდა დიდი ნიჭი ინტუიციის, ეს ნიჭი პოლიტიკაშიც ისე საჭიროა, როგორც პოეტურ შემოქმედებაში.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ჟორდანიამ პირველმა იგრძნო, რომ პატარა ერის ბიოლოგიური ენერგია განსაზღვრულია და მისი ცხოვრების განვითარება შესაძლოა მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით. ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ საქართველოს ხსნა ევროპაშია და რუსეთთან შეერთების მომხრე იყო მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის გზით ევროპას ვზიარებოდით. შემდეგში, ისევ ჟორდანია იყო პირველი მომხრე რუსეთისგან გამოყოფისა, რადგან მეზობელი ქვეყანა საბოლოოდ აზიაში დატოვებას გვიქადდა.

ნოე ჟორდანიაზე რუსეთის ნამდვილი მიზნები არაერთმა ამოიცნო და მათი ინტუიცია უფრო უტყუარი აღმოჩნდა, გრიგოლ რობაქიძე ამ ყველაფერს თავს არიდებს და ჟორდანიას ქება-დიდებათ შემოიფარგლება, რადგან ჟორდანია მისთვის დიდი მამულიშვილია და არ ერიდება მის შედარებას მოსე წინასწარმეტყველთანაც კი. ჟორდანია ტრიბუნია: თუ მას ენა არ ემორჩილება . ამ შეთხვევაში ჰგავს სწორედ მოსეს, რომლის ხვედრია მშობელი ერის აღქმული ქვეყნისაკენ წაყვანა. ენა თუ ებმის სანაცვლოდ კალამი უჭრისო და საამაყოდ მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილიო. გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნდა, რომ ჟორდანიას სძულდა

⁵⁸ ჩხეიძე როსტომ, მზისშვილი, გვ-431.

განყენება, თუმცა, მართებულად აღნიშნავს როსტომ ჩხეიძე, რომ ნოე ჟორდანიას სწორედ განყენებული მოძღვრების მედროშე იყო, რომლის სოციალისტობამ ბოლშევიკების შემოჭრამდე დააზარალა ქართული პოლიტიკური აზროვნებაც და ეკონომიკაცო.

გრიგოლ რობაქიძე არც ერთი პოლიტიკური პარტიის მომხრე არ ყოფილა, მათ შორის არც მენშევიკი. ის სწორედ არაპოლიტიკურ მწერლად გვევლინება და თავის ესეებში ერთნაირად ასხამს ხოტბას ჰიტლერს, მუსოლინის, ლენინს, ჟორდანიას, მიხაკო წერეთელს. მისთვის პოლიტიკური მოსაზრებები კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ მათში ხედავდა მამულიშვილობას, რომლითაც ისტორიის გარკვეულ მომენტში თავიანთი ერების აღორძინებისათვის იღწვოდნენ. სწორედ ეს არის მთავარი და არსებითი ზემოთ აღნიშნულ წერილებსა და ესეებში. ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პილიტიკურ ფიგურებში მწერალი ცდილობს გვიჩვენოს ის საერთო, რაც ჩვენ ქვეყანას გამოადგებოდა დამოუკიდებლობისკენ საბრძოლველ გზაზე და აღადგენდა მას, როგორც ერს - უძველესსა და დიდი კულტურის მქონეს.

§4.3. მიხაკო წერეთელი - მოგონებათა ბარდული

თემა - პოლიტიკური სამყარო რობაქიძესთან - დიდ ადგილს იკავებს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. მწერლის საინტერესო შეხედულებები პოლიტიკაზე და პოლიტიკოსებზე შემოგვინახეს მისმა წერილებმა.

„მიხეილ წერეთელი“ - მოგონებათა ბარდარჩა კიდევ დული, 1948 წელს დაიბეჭდა ისტორიულ, ლიტერატურულ და სამეცნიერო კრებულ „ბედი ქართლისას“ მესამე ნომერში. ეს კრებული, სწორედ, მიხაკო წერეთლის უშუალო მონაწილეობით დაარსდა. წერილში ავტორი სხვა პიროვნებებზეც ამახვილებს ყურადღებას. ერთი დანახვით დაამახსოვრდა სტატიის ავტორს მისი ადრესატი და მის ოცნებაში მარად ცოცხალი დარჩა. გრიგოლ რობაქიძეც და მიხაკო წერეთელიც, ორივე იძულებული

გახდა ემიგრაციაში წასულიყო საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი განსხვავებული შეხედულებების გამო და ერთ სასაფლაოზეც განისვენებენ ლევილში.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც თავად აღნიშნავს, საკმაოდ გონებაგაფანტული ბავშვი ყოფილა და უკეთესობა არც მომავალში ეტყობოდა. ერთხელ ნანახი მიხაკო კი მუდამ დარჩა მის მეხსიერებაში, და რაოდენ დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, რომ მის მეხსიერებაში მუდამ ყოფილიყო.

გრიგოლ რობაქიძე სტატიაში არაერთ გადახვევას აკეთებს და მიხაკო წერეთელთან ერთად, მისი მეგობრის, ალექსანდრე მიქელაძის პიროვნებასაც გვიხატავს - მიხეილს როგორც შემმართველს, ალექსანდრეს კი როგორც მეგობრის „შემნელებელს“. პირველი, როგორც თაოსანი და გეზის ამკვალავი, მეორე როგორც ამრქმევი და გამყოლი. ორი სახისაგან ერთი იფინებოდაო.

გრიგოლ რობაქიძე ჯერ კიდევ მიხაკო წერეთლის გაცნობამდე ამჟღავნებდა მისადმი ინტერესს. დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს მის პოლიტიკურ საქმიანობას. 1908 წელს, საქართველოში დაბრუნებულმა, უკვე პირადად გაიცნო ის. მალე მიხეილ წერეთელი, ევროპაში გაემგზავრა ფილოლოგიის შესასწავლად, რადგან პოლიტიკურ მებრძოლს, გრიგოლ რობაქიძისავით, ქართული ძირები აინტერესებდა: „რამდენად იფესვები ქართულში, იმდენად ეზიარები კარდუს არსს“.⁵⁹ მიხეილის ფილოლოგად გარდაქმნას მწერალი მის მამულიშვილობას უკავშირებს.

გრიგოლ რობაქიძე მიხაკო წერეთელს ივანე ჯავახიშვილის გვერდით აყენებს და წერს: „მიხეილმა კარგად იცის, რომ ივანემ ქართველოლოგიაში გაცილებით უფრო მეტი გააკეთა ვიდრე მან. თუმცა ივანე „მხოლოდ“ მეცნიერი იყო. მიხეილი კი თანვე პოლიტიკური მებრძოლიც. საგანი კი, როგორც იქ „კვლევაში“, ისე აქ „ბრძოლაში“ ერთი და იგივე: საქართველო. ის, რაც „იქ“ აკლია მიხეილს, ემატება „აქ“ სამაგიეროდ. სწორედ ამ თვალსაზრისით დგას მიხეილ წერეთელი ივანე ჯავახიშვილის გვერდით.“⁶⁰

გრიგოლ რობაქიძე მიხაკო წერეთლის პოლიტიკურ საქმიანობას არ განსჯის, როგორც ამ საქმის პროფესიონალი; არა იმიტომ, რომ პოლიტიკის არაფერი გაეგება, არამედ, მისი ღრმა რწმენით, მწერალი, რომელიც, პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკასაც ვერაფერს არგებს და თავის თავს, როგორც ხელოვანს, ზიანს მოუტანს. რობაქიძისთვის

⁵⁹ ბედი ქართლისა, მიხეილ წერეთელი, გვ-32

⁶⁰ იგივე, გვ-34

მთავარი არ არის რომელ ნაპირზე დგას ადამიანი, მთავარია ერთ მამულიშვილურ საქმიანობას ემსახურებოდეს: „ნოე ჟორდანია მარქსისტელია, მე, არა მარქსისტელი, ვთვლი მას შესანიშნავ მამულიშვილად. მარქსისტელია აკაკი ჩხენკელი- ვგულებ შესანიშნავ მამულიშვილად. ევგენი გეგეჭკორიც მარქსისტელია- ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნია.“⁶¹ გრიგოლ რობაქიძე სწორედ მრავალპარტიულობის და განსხვავებული აზრის მომხრე იყო, რაც შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირში.

მწერალი ასე ხატავს მიხეილის ხასიათს: „მიხეილი ოხუნჯია და უყვარს გახუმრება. მან ხანდახან აკვიატება იცის, აიჩემებს რამეს და ველარ გადაათქმევინებ. უყვარს საეკლესიო გალობა და გალობს კიდევ. მუსიკასაც ეტანება იგი. მიხეილი ადევნებს თვალყურს ლიტერატურას, აქაც დაკვირვებული და ჩახედული.“⁶²

გრიგოლ რობაქიძე, თავად ემიგრანტი, სამშობლოდან იძულებით მოწყვეტილი, თანამეგობრებისგან მოწყვეტილი და ტაბუირებული, სხვაზე წუხს, თავისივე მსგავსზე და იმედი აქვს, რომ „მოგონებათა ბარდულში“, „საცა ყუდროდ ღვივა ქართული ცეცხლი ორიოდ ნაპერწკალი მისი თავის თანამემამულეებსაც მოხვდებათ და სჯერა: „მათი გულები გადაიხსნებიან მიხეილის დათუთქული გულის მიმართ“.⁶³

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრიგოლ რობაქიძისთვის მთავარი არ არის მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები, მისთვის მთავარია მამულიშვილობა, რომელიც გაცილებით უფრო მაღალი ცნებაა და სწორედ ამ მამულიშვილური თვისებების ჩვენებისთვის დახატა მიხაკო წერეთელი - კაცი, რომელიც იღწვოდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. იქნებ მწერლის იმედი, რომ მიხეილის მიმართ სამშობლოში გული მოუბრუნდებოდათ, სადღაც გულის კუთხეში მასაც ნაპერწკალს გაუღვივებდა, რომ თავისი სამშობლო მის მიმართაც ნაკლებად ულმობელი იქნებოდა, სამწუხაროდ ასე არ მოხდა და ორი დიდი მამულიშვილის სახელის ხსენება წლების განმავლობაში იკრძალებოდა.

⁶¹ ბედი ქართლისა, მიხეილ წერეთელი, გვ-34.

⁶² იგივე, გვ-34.

⁶³ იგივე, გვ-34.

დასკვნა

ნაშრომში, „გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზის ცდა“, განხილულია ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის, გერმანიაში მოღვაწეობის პერიოდში შექმნილი პოლიტიკური ესეისტიკა და წერილები ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ, რომლებიც დღემდე კომპლექსურად ნაკლებადაა შესწავლილი. მწერლის შემოქმედების ერთიანობის ანალიზი და კვლევა წარმოადგენს ღირსეულ გამოწვევას ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის. მწერლის პოლიტიკური ესეები და წერილები იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში. ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია კარლო ინასარიძის მიერ შედგენილმა კრებულმა, როსტომ ჩხეიძის წიგნმა „მზისშვილი“, ემიგრაციის მუზეუმში მოძიებულმა მასალებმა, აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულმა რომანმა „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“, გურამ შარაძის წიგნმა „უცხოეთის ცის ქვეშ“, და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულმა წერილებმა და ესეებმა, საგამომცემლო პროექტით- „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“ გამოცემულმა გრ. რობაქიძის მიერ სტეფან ცვაიგისათვის გაგზავნილი წერილების ქართული თარგმანების კრებულმა, რომელიც უნიკალური მასალაა მწერლის შემოქმედების მკვლევართათვის.

ჩვენ მიერ განხილულ თითოეულ საკითხზე შესაძლებელია კიდევ უფრო კონკრეტული და საფუძვლიანი კვლევა, რომელიც სცდება სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებს.

ნაშრომი წარმოადგენს 51 გვერდს, შედგება ანოტაციის, შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან. ახსნილია საკითხის აქტუალობა, მიზანი, საკითხის შესწავლის ისტორია და ამოცანები.

პირველ თავში მიმოხილულია გრიგოლ რობაქიძის საქართველოში ყოფნის პერიოდი, როგორ ყალიბდებოდა ის მომავალ მწერლად, როგორი იყო მისი შეხედულებები საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე და რა გზას ხედავდა ამის მოსაგვარებლად. საინტერესოა მისი შეხედულებები რევოლუციაზე. განხილული მისი წერილი „ვ. ი. ულიანოვი - ლენინი“.

მეორე თავში მიმოხილულია გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების გერმანული პერიოდი, როგორ იცვლიდა შეხედულებებს ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, როგორ ცდილობდა უცხოობაში, მარტოობაში ყოფნის დროსაც არ მოსწყვეტოდა ქართულ ფესვებს. აქვეა განხილული ესეები „ჰიტლერი“, „მუსოლინი“, სადაც კარგად ჩანს მათი შექმნის მიზანი, რომელიც საქართველოში არსებული გამოუვალი მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

მესამე თავში განხილულია გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების ნაკლებად ცნობილი ფაქტი, კერძოდ, მისი წარდგენა ნობელის პრემიაზე, რასაც ასე საგულდაგულოდ მალავდა საბჭოთა ცენზურა და რაზეც თავად მწერალიც არ ამახვილებდა დიდ ყურადღებას. არადა, ქართველი მწერლის ასეთი წარმატება ჩვენი ქვეყნისთვის არც თუ ისე მცირე მნიშვნელობის იყო. ამავე თავშია განხილული მწერლის ურთიერთობა შტეფან ცვაიგთან და რუდოლფ კარმანთან, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველ მწერალს. ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში ჩანს მცდელობა გრიგოლ რობაქიძისა -წარედგინა ქართული კულტურა გერმანელი და ავსტრიელი მწერლების წინაშე, რომლებიც, თავის მხრივ, მას ევროპის წინაშე წარმოადგენდნენ.

მეოთხე თავში განხილულია გრიგოლ რობაქიძის თვალთ დახახული ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები. წერილებში ნათლად ჩანს მწერლის დამოკიდებულება საქართველოს პრობლემებისადმი, სამშობლოზე დარდი და შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის ძიება.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის, პოლიტიკური ესეისტიკის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა და გააანალიზება, რადგან მწერლის შემოქმედება ლიტერატურის მკვლევართათვის უმდიდრესი მასალაა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შესახებ დიდი ხანია დაწყებულია, ჯერ არ შექმნილა ამომწურავი, სრულყოფილი ნაშრომი, რასაც ხელს უსლის ის, რომ მწერლის არქივი კვლავ ავსტრიაში რჩება. მართალია, არსებობს მრავალი ცალკეული სტატია, სხვადასხვა მიმართულებისა, ერთიანი და კომპლექსური

კვლევის ჩატარების აუცილებლობა თავად გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითმა სივრცეებმა გვიკარნახა.

XX საუკუნეში საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ამსახველი პროცესების კვლევა ძალზე აქტუალურია, რადგან მასში აღწერილია როგორც ინდივიდის, ისე ერის თავისუფლების თემა. გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობა საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან გარდატეხის პერიოდს ემთხვევა. მწერალი საბჭოთა პერიოდის მძიმე შედეგებზე საუბრობს და ცდილობს გვიჩვენოს გამოსავალი ევროპულ სივრცეებში.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომი ეხება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში პოლიტიკურ ლიდერთა პორტრეტების ჩვენებას, რომელთა როლი მეტ - ნაკლებად ეხმიანება საქართველოს მძიმე მდგომარეობას. ამ საკითხების შეფასება მწერლის მიერ არაერთგვაროვანია. შევეცადეთ განგვიჩვენოს შეფასებები, და, შესაბამისად, დაგვეფიქსირებინა გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება ყველაფერი ამის მიმართ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ, რა თქმა უნდა, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სრულად ამოწურვა იმ საკითხებისა, რაც გვინტერესებს, შეუძლებელია და ჩვენი ნაშრომის სუსტ მხარედ მიგვაჩნია, რომ ვერ ვაჩვენეთ სპექტრი იმ დამოკიდებულებისა, რაც გრიგოლ რობაქიძეს გააჩნდა ამა თუ იმ ქართველი თუ უცხოელი მოღვაწის და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული პიროვნებების მიმართ.

იმის გამო, რომ ხელმისაწვდომი ხდება სულ ახალი მასალები ამ კუთხით, შევეცდებით ჩვენი მსჯელობა სამომავლოდ ამ კუთხით განვითარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რობაქიძე გრიგოლ, „13 სონეტი“, თბ., „საარი“, 2004 წ.
2. რობაქიძე გრიგოლ, კრებული, ტ.15, თბ., „საქართველოს მაცნე“, 2009 წ.
3. მესხრიკაძე ნოდარ, „ღვაწლი ივანე მაჩაბლისა“, თბ., „უნივერსალი“, 2011 წ.
4. ბაქრაძე აკაკი, „ კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“, თბ., „ლომისი“; 1999 წ.
5. რობაქიძე გრიგოლ, „წერილები სტეფან ცვაიგს“, თბ., „არტანუჯი“, 2016 წ.
6. რობაქიძე გრიგოლ, „ გველის პერანგი“, თბ, „მერანი“; 1989 წ.
7. სიგუა სოსო, „ მოდერნიზმი“, თბ., „მწერლის გაზეთი“, 2008 წ.
8. ნიშნიანიძე რუსუდან, „ XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., „ლომისი“, 2000 წ.
9. რობაქიძე გრიგოლ, „ პორტრეტები“, თბ., „არტანუჯი“, 2012 წ.
10. გაზეთი „ახალი ეპოქა“, ჩანართი „ჩვენი მწერლობა“; ჯალიაშვილი მაია; საუკუნეებს ველაპარაკები; 31 მაისი-7 ივნისი, 2002 წ.
11. ჯალიაშვილი მაია, „ ქართული მოდერნისტული რომანი“, თბ., „წყაროსთვალი“, 2006 წ.
12. რობაქიძე გრიგოლ, ტ.III, თბ., „ლიტერატურის მუზეუმი“, 2012 წ.
13. შარაძე გურამ, „ უცხოეთის ცის ქვეშ“, თბ., „მერანი“, 1991 წ.
14. კარლო ინასარიძის კრებული, მიუნხენი, 1984 წ.
15. ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტ.II, თბ., „ნეკრესი“, 2004 წ.
16. წერეთელი ლიკა, „გრაალის პარადიგმა გრიგოლ რობაქიძის რომანში „გრაალის მცველნი“, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2004 წ.
17. რობაქიძე გრიგოლ, „ადოლფ ჰიტლერი“, თბ, „არტანუჯი“, 2010 წ.
18. ჩხეიძე როსტომ, „ მზისშვილი“, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2018 წ.
19. ჩხეიძე როსტომ, „ მზის შვილები“, თბ., „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“, 2010 წ.
20. რობაქიძე გრიგოლ, „ მუსოლინი“, თბ., „არტანუჯი“, 2010 წ.
21. რობაქიძე გრიგოლ, ტ. I, თბ, „ლიტერატურის მუზეუმი“, 2012 წ.

22. ლიტერატურული ძიებანი, კვატია მანანა, „ეს სკანდალური ადოლფ ჰიტლერი“, ტ. XXIX, თბ., 2008 წ.
23. ცერცვაძე მარინე, „ახალი ადამიანი“, თბ., „საარი“, 2012 წ.
24. ბედი ქართლისა, რობაქიძე გრიგოლ, „მიხეილ წერეთელი“, # 3, პარიზი, 1948 წ.
25. რობაქიძე გრიგოლ, „ჩაკლული სული“, თბ., „ივერია“, 1991 წ.
26. ვასაძე თამაზ, „ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში“, თბ., „ლიტერატურის ინსტიტუტი“, 2010 წ.